

# კომუნიკაციის და გენდერული იდენტობის









# კორუფცია და გენდერული იდენტობა

მედია მონიტორინგის ანგარიში

2014-2015

მედიის განვითარების ფონდი

ავტორი:

თამარ ხორბალაძე

რედაქტორი:

თამარ კინწურაშვილი

მკვლევარები:

სოფო გოგაძე, თათა ქაფიანიძე, თამუნა კანდილაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDESIGN



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



**unag**  
საქართველოს განვითარების ეროვნული აგენცია

ანგარიში მოამზადა მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციას.

© 2015, მედიის განვითარების ფონდი

[WWW.MDFGEORGIA.GE](http://WWW.MDFGEORGIA.GE)

ISBN 978-9941-0-7731-9

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს მედიის განვითარების ფონდის მედია მონიტორინგის ანგარიშის სერიის II გამოცემას და ჰომოფობიური გამოხატვის, ასევე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების წყაროებს შეეხება.

მონიტორინგი ერთწლიან პერიოდს – 17 თებერვალი, 2014 – 18 თებერვალი, 2015 – მოიცავს და შემდეგი მედია საშუალებების დაკვირვების შედეგებს ასახავს: გაზეთები – ასავალ-დასავალი, რეზონანსი, პრაიმ ტაიმი, კვირის ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა<sup>1</sup>; 5 ტელევიზიის – საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, კავკასია და მაესტრო დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და თოქ-შოუები, ასევე მედია-კავშირ „ობიექტივის“ და ტელეკომპანია „ტაბულას“ პრაიმ-ტაიმის თოქ-შოუები; ონლაინ გამოცემები – საქინფორმი, ინტერპრესნიუსი, ნეტ-გაზეთი, პირველი, რეპორტიორი, საქართველო და მსოფლიო, Geworld.ge.

გარდა დაკვირვების ქვეშ მყოფი მედია საშუალებებისა, კვლევაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესულია სხვა მედია საშუალებების მაგალითებიც, რომლებზეც რეაგირება მათი რეზონანსულობის და გავლენის გამო მნიშვნელოვნად ჩაითვალა.

მედიის განვითარების ფონდი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ახორციელებს მედია მონიტორინგს, რომლის მიზანია მედიასა და საჯარო დისკურსში სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, ჰომოფობიის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპიზაციის, ასევე ანტიდასავლური განწყობების წყაროების გამოვლენა. ამასთანავე იმის შესწავლა, თუ რამდენად იცავენ მედია საშუალებები პროფესიულ სტანდარტებს აღნიშნული თემატიკის გაშუქებისას.

მონაცემები შემდეგი წყაროების მიხედვით არის დაჯგუფებული: მედია, პოლიტიკური პარტიები და მათთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ანუ ყველა ის რესპონდენტი, რომელიც ცალკე კატეგორიად არ არის გამოყოფილი.

---

<sup>1</sup> 2014 წლის დეკემბრიდან ბეჭდვითი ვერსიის ნაცვლად მონიტორინგი გაზეთის ელექტრონულ ვერსიაზე ხორციელდება.





# შინაურსი

რაოდენობრივი მაჩვენებლები	9
<b>I. ჰომოფობია</b>	<b>11</b>
ძირითადი მიზეზები	11
1.1. მედია	13
1.2. პოლიტიკური პარტიები	22
1.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	29
1.4. სასულიერო პირები	31
1.5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	33
<b>II. გენდერული იდენტობა</b>	<b>36</b>
ძირითადი მიზეზები	36
2.1. მედია	39
2.2. პოლიტიკური პარტიები	45
2.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	46
2.4. სასულიერო პირები	46
2.5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	47
<b>დუსკვნა და რეკომენდაციები</b>	<b>49</b>


## ცხრილი და დიაგრამები

ცხრილი 1.	ჰომოფობიური გამოხატვა, გენდერული იდენტობის საკითხები მედია-საშუალებების მიხედვით	9
ცხრილი 2.	ჰომოფობიური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება პოლიტიკური პარტიების მიხედვით	10
ცხრილი 3.	გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება სხვადასხვა ტიპის მედია-საშუალებებში	40
დიაგრამა 1.	ჰომოფობიური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და სტერეოტიპების ტირაჟირება წყაროების მიხედვით	
დიაგრამა 2.	ჰომოფობიური გამოხატვის წყაროები	11
დიაგრამა 3.	ჰომოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია	12
დიაგრამა 4.	ჰომოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	13
დიაგრამა 5.	ჰომოფობია პოლიტიკური პარტიებისა და მათთან აფილირებული ჯგუფების მიხედვით	23
დიაგრამა 6.	ჰომოფობიური გამოხატვის ძირითადი ტენდენციები პარტიების მიხედვით	23
დიაგრამა 7.	გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ძირითადი ტენდენციები	36
დიაგრამა 8.	გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება წყაროების მიხედვით	37
დიაგრამა 9.	გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, სტერეოტიპების ტირაჟირება გენდერულ ჯრილში	37

## რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში სულ ჰომოფობიური გამოხატვის 331 ფაქტი გამოვლინდა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირებისა – 74; ანუ სულ 405 ფაქტი.

**დიაგრამა 1. ჰომოფობიური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და სტერეოტიპების ტირაჟირება წყაროების მიხედვით**



დისკრიმინაციის წყაროების მიხედვით ლიდერობენ მედიის წარმომადგენლები (ჯამში 145 ფაქტი), მეორე ადგილზე არიან საზოგადოების სხვა წარმომადგენლები (120 ფაქტი). ჰომოფობიური გამოხატვისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირების მხრივ ყველაზე გამორჩეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ იყო – 59, მას მოსდევს გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 25, შემდეგ ადგილზეა ინტერნეტ-პორტალი Geworld.ge – 13.

**ცხრილი 1. ჰომოფობიური გამოხატვა და გენდერული იდენტობის საკითხები მედია-საშუალებების მიხედვით**

მედია საშუალება	ჰომოფობია	გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება	ჯამი
ასავალ-დასავალი	53	6	59
კვირის ქრონიკა	18	7	25
Geworld.ge	11	2	13

საქინფორმი	8	1	9
მედია-კავშირი „ობიექტივი“	8	1	9
ალია	3	2	5
პრაიმ-ტაიმი	2	2	4
რეზონანსი	1	4	5
კვირის პალიტრა	1	3	4
პირველი	2	4	6
ტვ კავკასია	1	1	2
რუსთავი 2		1	1
GDC		1	1

პარტიების მიხედვით პირველ სამეულში ბურჯანაძე-ერთიანი დემოკრატები, ქართული ოცნება და პატრიოტთა ალიანსი შედიან. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ძირითადი აქცენტები მაინც ჰომოფობიურ გამოხატვასთან არის დაკავშირებული. ამასთან, ცალკეა გამოყოფილი მკვეთრი ანტიდასავლური კონტექსტი, როცა ეს თემები გამოიყენებოდა ძირითადად ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს წინააღმდეგ და ლგბტ პირებისა და ქალთა უფლებების თემა მეორადი იყო. შესაბამისად, ეს სტატისტიკა ამ მონაცემებს არ მოიცავს.

**ცხრილი 2. ჰომოფობიური გამოხატვა, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება პოლიტიკური პარტიების მიხედვით**


მედია საშუალება	ჰომოფობია	გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება	ჯამი
ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია	20		20
ქართული ოცნება	16	1	17
პატრიოტთა ალიანსი	12		12
ლეიბორისტული პარტია	7		7
თავისუფალი დემოკრატები	1		1
სახალხო კრება	4		4
თავისუფალი საქართველო	4		4
სხვადასხვა	5	2	7
სახალხო პარტია	1		1



## ძირითადი მიზნები

ჰომოფობია – სიძულვილი გეი ან ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ, ან მათი ცხოვრების სტილის, ან კულტურის მიმართ, ან ზოგადად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ; გეი და ლესბოსელი ადამიანებისადმი ან ზოგადად ჰომოსექსუალობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატებოდეს მღელვარებით, ზიზღით, მტრობით, აგრესიით, დისკრიმინაციით ან შიშით<sup>2</sup>. მათ შორის სიძულვილის ენით და ა.შ. ყველა ამ მიმართულებას „ჰომოფობიურ გამოხატვაში“ ვაერთიანებთ.

დიაგრამა 2. ჰომოფობიური გამოხატვის წყაროები



ჰომოფობიური გამოხატვის მაგალითები პირობითად რამდენიმე თემატურ ჯგუფად დავყავით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმართულებაში მეტ-ნაკლები მოცულობით წამოდგენილია დისკრიმინაციული გამოხატვა, სტერეოტიპების დამკვიდრების მცდელობა, ძირითადი გზავნილებიდან გამოვყავით შემდეგი მიმართულებები:


1. ჰომოსექსუალობის განხილვა, როგორც დაავადების, ნორმიდან გადახრის; არჩევანის; არატრადიციული სექსუალური ქცევის;
2. პარალელების გაკეთება ღვებ პირებსა და დამნაშავეებს, პროსტიტუციას შორის; ამ მიმართულებაში ასევე შევიყვანეთ ისეთი სტერეოტიპები, რომლებიც სხვა ჩამოთვლილ ჯგუფებში არ თავსდებოდა და პირობითად მათ ზოგადად „სტერეოტიპების დაკვიდრება“ ვუწოდეთ;

<sup>2</sup> Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი; <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2322>

3. ჰომოსექსუალობა მიიჩნევა დასავლეთის, ლიბერალების მიერ თავსმოხვეულ მანკიერებად, ცოდვად, რომელიც ეწინააღმდეგება და საფრთხის ქვეშ აყენებს ეროვნულ ტრადიციებს;
4. ერთსქესიანი ქორწინება წარმოჩინდება როგორც ლგბტ პირთა უფლებების დაცვის გარდაუვალი ეტაპი და საფრთხე ქართული ეროვნული და რელიგიური ღირებულებებისათვის;
5. ხდება დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ ან ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებისკენ ღია მოწოდება; ისმის ასევე ძალადობისკენ მოწოდებები;
6. გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ლგბტ პირთა თვითგამოხატვა არის პროპაგანდა და ძალადობა უმრავლესობაზე; რომ ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება;
7. ასევე ზოგ შემთხვევაში ცალკე გამოვყავით ჯგუფი, სადაც სიძულვილის ენის გამოყენება, სიძულვილის ქადაგება და სხვადასხვა ტიპის ჰომოფობიური გამოხატვის მაგალითებია და „ჰომოფობიის სხვა მაგალითები“ ვუწოდებთ.

კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს დისკრიმინაციისკენ, ძალადობისკენ მოწოდებას, ანტიდისკრიმინაციული კანონის მწვავე კრიტიკას და მის გაიგივებას მხოლოდ ლგბტ ჯგუფებთან. მეორე ადგილზეა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს თემა თავსმოხვეულია გარედან, დასავლეთისგან მესამე ადგილზეა ლგბტ ჯგუფების სტიგმატიზების მცდელობა, პარალელები დანაშაულთან და უზნეობასთან.

### დიაგრამა 3. ჰომოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია




## 1.1. მედია

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ მედია და მედიის წარმომადგენლები ღვბტ თემატიკის გაშუქების დროს ხშირად არღვევენ ჟურნალისტურ სტანდარტს, მეტიც – ხშირ შემთხვევაში თავად გვევლინებიან ჰომოფობიური გამოხატვის წყაროდ. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო მედია-გაშუქების 108 ფაქტი, რომელთა შორის ჰომოფობიური გამოხატვა გვხვდება ჟურნალისტის გამონათქვამში, ან – სათაურში, რაც ასევე სარედაქციო პოზიციის მანქენებელია, ასევე რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევა იდენტობის დაუსაბუთებელი მითითების, სათაურის შეუსაბამობისა თუ სხვა დარღვევის სახით.

ჰომოფობიური გამოხატვის ყველაზე მეტ შემთხვევას ბეჭდვით მედიაში (78) ვხვდებით, რასაც მოსდევს ონლაინ (21) და სატელევიზიო მედია (9).

ჰომოფობიური გამოხატვის მხრივ ყველაზე გამორჩეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ იყო – 53, მას მოსდევს გაზეთი „კვირის ქრონიკა“ – 18, შემდეგ ადგილზეა ინტერნეტ-პორტალი Geworld.ge – 11; საქინფორმი – 8; მედია-კავშირი „ობიექტივი“; გაზეთი „ალია“ – 3; გაზეთი „პრაიმ-ტაიმი“ – 2; სააგენტო „პირველი“ – 2; გაზეთი „რეზონანსი“ – 1; გაზეთი „კვირის პალიტრა“ – 1; ტელეკომპანია „კავკასია“ – 1.

დიაგრამა 4. ჰომოფობიური გამოხატვის ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



საინტერესოა, რომ თავის გამოხატვაში ჟურნალისტები ხშირად მათ რესპონდენტებზე უფრო აგრესიული ლექსიკითა და სიძულვილის ენის გამოყენების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ისინი ხშირად იყენებენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას როგორც ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ, ისე ლგბტ ჯგუფის წევრებად აცხადებენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და ამ ჯგუფების მიმართაც; ლგბტ ჯგუფთა უფლებების დაცვის გამო გამოითქმის ანტიდასავლური განცხადებებიც.

მონიტორინგის პერიოდში მედიის განვითარების ფონდმა ჰომოფობიური გამოხატვის გამო, ორგანიზაცია TDI-სთან ერთად, წარადგინა სარჩელი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიში გაზეთ რეზონანსის წინააღმდეგ. 2015 წლის 10 აპრილს ქარტიამ გაიზიარა MDF-ისა და TDI-ის მოსაზრება, რომ 12 მარტს გამოქვეყნებული სტატიით „ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომელთაც სძულთ ჰომოსექსუალები“ გაზეთმა რეზონანსმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი (სიზუსტე) და მე-7 (დისკრიმინაცია) მუხლები<sup>3</sup>; (იხ. მაგალითები გვ. 18);

2014 წლის 8 აგვისტოს 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება საზოგადოებრივი მუწყების ეთერში დისკრიმინაციული გაშუქების გამო, რაც აძლიერებდა ჰომოფობიური სტერეოტიპებს<sup>4</sup> (იხ. ცალკეული მაგალითები გვ. 22).

## კატეგორიული კვლევა

### გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ლგბტ პირთა თემატიკის გაშუქების დროს დაშვებული დარღვევებითა და ჰომოფობიური გამოხატვით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „ასავალ-დასავალი“, რომელშიც მთლიანად ქართულ მედიაში გამოვლენილი დარღვევების თითქმის ნახევარი დაიბეჭდა. (53 ფაქტი – 110-დან); წამყვანი რიტორიკა გახლდათ მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ჰომოსექსუალობა თავს მოხვეულია დასავლეთისგან, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს (19); ჰომოფობიური გამოხატვის სხვა მაგალითები, სიძულვილის ენა (15).

ცალკეული მაგალითები:

#### პარალელები პროსტიტუციასთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება

- **ზაზა დავითაია:** „ცირკის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ არის მიტაცებული... რაც ყველაზე შემზარავია, კლიენტურაც არ აკლიათ. ღამღამობით, თავს იქაურობის ბატონ-პატრონად თვლიან. ათასი რჯულის ლიბერალისტული ორგანიზაციის თანადგომით გათამამებული პატიოსანი მოქალაქეების წინააღმდეგ უტიფარ შეტევებზე გადმოდიან... დამაფიქრებელია, რომ სექსუალურ უმცირე-

<sup>3</sup> [http://www.mdfgeorgia.ge/geo/view\\_stories/13](http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_stories/13)

<sup>4</sup> [http://www.mdfgeorgia.ge/geo/view\\_statements/79](http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/79)



სობათა თავგასულობა პიკს აღწევს. პანელზე მდგომი სხეულის გამყიდველების თავმოყვარეობაც, თურმე, იმ დონეზე განვითარებულა, რომ ფოტოგადაღებას შეურაცხყოფად თვლიან“ (14-20 ივლისი, 2014).

### ჰომოსექსუალობა ნორმიდან გადახრა

- **გიორგი გიგაური:** „და თუ პედერასტებს აქვთ სისხლის ჩაბარების უფლება, იმ ჩვეულებრივ ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, იცოდნენ, პედერასტის სისხლს რომ გადაუსხამენ?“ (ასავალ-დასავალი, 24 თებერვალი – 2 მარტი, 2014).

### ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია დასავლეთისგან, ლიბერალების მიერ, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **გიორგი გიგაური:** „კონჩიტას სახელით ცნობილი სიბილწის საკუთარ ქვეყანაში დაშვება ისეთივე სამარცხვინო და თავმოსატრელია, როგორც მაგალითად, დედაქალაქის მთავარ გამზირზე გეი-აღლუმის ჩატარება! დიას. რა განსხვავებაა, შენი ქვეყნისთვის საამაყო საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსს კონჩიტა წაგებილწავს თუ დედაქალაქის მთავარ გამზირზე – პედერასტების მარში?!.. ამ გაურკვეველი სქესობრივი წარმომავლობის არსებას, აკი, იმიტომაც გაამარჯვებინეს საერთო ევროპულ „ევროვიზის“ კონკურსში, რომ ამით მთელი ამ უზარმაზარი ევრაზიული სივრცისთვის „ახალი ლგბტ ეპოქის“ დასაწყისი ემცნო!“ (21-27 ივლისი, 2014).

### ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე

- **გიორგი გიგაური:** „ასავალ-დასავალიზაციის“ წარმატებად მიმანია ისიც, რომ პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა 28 მარტს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა, საქართველოს კონსტიტუციაში შევიტანთ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ოჯახად მხოლოდ ქალისა და მამაკაცის შეუღლებას ცნობსო!.. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მალე საქართველოში კონსტიტუციის დონეზე აიკრძალება ერთსქესიანთა ქორწინება!.. ასავალ-დასავალი“ „ვარდოვანცისფერი“ უბედურებისგან იცავს დედა-სამშობლოს, დედაეკლესიასა და მშობლიურ ერს... სწორედ „ასავალ-დასავალიზაციის“ დამსახურებად მიმანია, რომ 17 მაისს რუსთაველის გამზირზე ლგბტ-თემის გეიაქცია აღარ გაიმართება!“ (31 მარტი – 6 აპრილი, 2014).

### ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება

- **გიორგი გიგაური:** „დიას, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამდენი კახპისა და პედერასტის ტელეეკრანზე გამოჩენა და იქედან სიბილწეების პროპაგანდირება, კარგად დაფინანსებული და გააზრებული პროპაგანდისტული კამპანია!“ (17-23 მარტი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება

- **ზაზა დავითაია:** „თუ ქურდულ მენტალიტეტს ვებრძვი, როგორც ანტისახელმწიფოებრივს, უპირანი იქნება ეს ბრძოლა სხვა ანტისახელმწიფოებრივ მენტალიტეტებზეც განევრცოს და აღიკვეთოს მაგალითად ლგბტ მენტალიტეტის პროპაგანდა, რადგან ჩვენს ტრადიციებსა და სულიერ ღირებულებებს უპირისპირდება!“ (24 თებერვალი – 2 მარტი, 2014).

## გაზეთი „კვირის ქრონიკა“

გაზეთ კვირის ქრონიკაშიც, სადაც მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტთა მიერ ჰომოფობიური გამოხატვის 18 ფაქტი გამოვლინდა, წამყვანი თემა ჰომოსექსუალობის დასავლეთის, ლიბერალების მიერ თავსმოხვევაა, რაც ქართულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. ლგბტ პირები წარმოჩენილია, როგორც საფრთხე ეროვნული იდენტობისთვის. თუმცა, გაზეთში ყველა სხვა ძირითადი ტენდენციაც იჩენს თავს.

ცალკეული მაგალითები:

### ჰომოსექსუალობა არის დაავადებაა, ნორმიდან გადახრა

- **გელა ზედელაშვილი:** „ბატონო გიორგი, არც ერთი კანონი ჩვენ არ გვეუბნება, რომ ესენი ავადმყოფები არიან და დახმარება სჭირდებათ. ეს უკვე იქცა ნორმად და მიდის პროპაგანდა... რასაც თქვენ ამბობთ, თითქმის იგივე წერია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინებაში – ესენი არიან ავადმყოფები“ (5-11 მაისი, 2014).
- **ნიუპოსტი:** „რუსეთში იმ დაავადებათა სია განახლდა, რომელთა მატარებლებიც მართვის მოწმობას ვერ აიღებენ. ასეთ დაავადებებს დაემატა გენდერული იდენტობის რღვევები, რომელიც ეხება ტრანსსექსუალებსა და ტრანსვესტიტებს“ (12-18 იანვარი, 2014).

### დასავლეთი და ლიბერალები თავს გვახვევენ ჰომოსექსუალობას, რაც ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „თვით ჰოლანდიაშიც კი, სადაც იმ ავადსახსენებელი „ელ-გე-ბე-ტე“ საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა უმაღლეს დონეზე ხორციელდება, რა დღეში არიან სალად მოაზროვნე ადამიანები... ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში სოდომისტები ისე გააქტიურდნენ, რომ მრევლს სიწმინდების დაცვა უხდებოდეს მათი თავდასხმებისგან, მაგრამ რეალურად თუ შევხედავთ ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებს, ეს დრო არც ისე შორსაა. პირიქით, საფრთხე უკვე კარს მოგვადგა და განსაცდელი გარდაუვალია“ (7-13 ივლისი, 2014).

### ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „თბილისში პირველი ოფიციალური გეიკლუბი, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სოდომ-გომორული ცოდვით შეპყრობილ ალქაჯთა თავშესაფარი იხსნება... გასაგებია, რომ ვაჭარაძე და მისი „ქათმების ამალა“ თავს ბედნიერად ვერ იგრძნობენ, სანამ 17 მაისს რუსთაველზე კოლექტიურ კრიახს არ ატეხენ და პროსპექტზე კურტუმოების თამაშით არ გაივლიან, მაგრამ თუკი მათ ამის საშუალება მიეცემათ, უფლებაშეღახული უკვე მთელი საქართველო იქნება... გარდა ამისა, ასოცირების ხელშეკრულება პირდაპირ გვაავადლებულებს, რომ ე.წ. სექსუალური უმცირესობები თავს დაცულად გრძნობდნენ. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში გეიკლუბიც უნდა არსებობდეს, „პედერასტები“ აღლუმებსაც უნდა ატარებდნენ და ქორწინებაც უნდა შეეძლოთ. აი, საით მიდის საქართველო“ (კვირის ქრონიკა, 8-14 დეკემბერი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება

- **თამარ ოქრუაშვილი:** „იქ ჰომოსექსუალებზეა ლაპარაკი, გაგვირყვნიან ახალგაზრდებს და ბავშვებსო... ტრისტან წითელაშვილი მეუბნება, სამხედრო ვარ და არ მინდა ჯარში ჰომოსექსუალისტი მყავდეს უფროსი, მაგათთვის პარლამენტს ისეთი კანონი უნდა მიეღო, რომ მაგათთვის უნდა ემკურნალათ, უბედურება ისაა, რომ მაგ პარლამენტშიც სხედან ეგეთები და აქედან გამომდინარე, მასეთ კანონებს მაგიტომ იღებენო“ (19-25 მაისი, 2014).

### გაზეთი „ალია“

გაზეთ „ალიაში“ ჰომოფობიის სამი შემთხვევა გამოვლინდა.

### ღვბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება

- **გელა ზედელაშვილი:** „ელგებეტეების „უფლებების დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ლიდერს, ირაკლი ვაჭარაძეს ერთხელ უკვე გაუვიდა. მან მსოფლიოში ცნობილ სოპრანოს თამარ ივერს საქმე ისე გაუხადა, ავსტრალიის ოპერის თეატრმა სამსახურიდან დაითხოვა... თამარ ივერის შემდეგ ვაჭარაძისა და არასამთავრობოების სამიზნე სანდრო ბრეგაძეა, რომელიც არც ოპერის მომღერალი გახლავთ და არც ბალეტის მოცეკვავე, რომ „უედარასტებს“ კონცერტი ჩაუტაროს. თუმცა საინტერესოა, რას იზამს? როგორ დააღწევს თავს მეტად „ფაქიზი“ ადამიანების თავდასხმას?“ (31 ოქტომბერი – 3 ნოემბერი, 2014).

### გაზეთი „პრაიმ-თაიმი“

### სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

- გაზეთი ახდენს არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ აღმასრულებელი დირექტორის გიორგი საბანაძის და საჯარო ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლების შესახებ დაუდასტურებელი ინფორმაციის ტირაჟირებას. ხდება ღვბტ ჯგუფებთან მათი ნეგატიურ კონტექსტში ასოცირება: „გასულ კვირას, ერთ-ერთ ბეჭდურ მედიაში საბანაძის ყოფილი თანამშრომლების ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ისინი საბანაძეს „მოგეიფე“ წარსულს უხსენებენ და გასული წლის მაისში, „ღვბტ“-ს ჩაშლილი „გეი-პარადის“ ორგანიზებაში „ადანაშაულებენ“... საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლების ინტერვიუს მიხედვით, ვერშემდგარი „გეი-პარადის“ შემდეგ, ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, თანამშრომლებმა გიორგი საბანაძემ და ემზარ ჯგერენაიამ ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ე.წ. „ფრანგულ დარბაზში“ შეკრებილი „ღვბტ“-ს წარმომადგენლებს მამაკაცის ფალოსის ფორმის ტორტი მიართვეს და ერთად დააგემოვნეს“ (17 თებერვალი, 2014).

### დისკრიმინაცია

- **ეკა ჩიკვაძე:** „თუკი ასე ფიქრობთ, ორი წლის წინ, 17 მაისს რუსთაველზე „ტაბუ-რექკით“ რატომ არ გახვედით?“ (24 ნოემბერი, 2014).

## გაზეთი „რეზონანსი“

რეზონანსი, 12 მარტი, 2014 წლის 12 მარტს გაზეთ „რეზონანსში“ გართობის რუბრიკაში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომელთაც ჰომოსექსუალები სძულთ“. აღსანიშნავია, რომ სტატიის სათაური და შინაარსი შეუსაბამოა ერთმანეთთან, რადგან მასალა ჰოლივუდის იმ ვარსკვლავების (ბრედ პიტი, ანჯელინა ჯოლი) მოსაზრებებსაც შეიცავს, რომლებიც ლგბტ პირებისთვის დამატებითი საკანონმდებლო გარანტიების მოთხოვნით გამოდიან, ხოლო სტატიაში მოყვანილი სხვა ჰოლივუდის ვარსკვლავების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფებისადმი არაერთგვაროვანია და არ შეიძლება შეფასდეს მათდამი სიძულვილის გამოვლინებად.

მედიის განვითარების ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაციის TDI საჩივრის საფუძველზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაადასტურა, რომ სტატიის სათაური ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის გაღვივებას და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მათ დისკრიმინაციას უწყობს ხელს და წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პუნქტის დარღვევას, რომლის თანახმად, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა ილღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

## გაზეთი „კვირის პალიტრა“

### ჰომოფობია

- დისკრიმინაციული შეკითხვით მიმართა გარდაცვლილის მეზობელს „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტმა, სათაურში კი ყურადღება სექსუალურ იდენტობაზე გაამახვილა. სათაური: „მკვლელობა პეკინზე, – „სულ ქალის ტანსაცმლით დადიოდა, მაგის ტანზე შარვალი არ გვინახავს...“  
**ეთერ ერაძე, ჟურნალისტი** [მიმართავს მეზობელს]: „გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი ტრანსგენდერი იყო, ეს ხომ არ იწვევდა მეზობლების აგრესიას?“ (Kvirispalitra.ge, 11 ნოემბერი, 2014)

## ონლაინ-გაზეთი

### GEWORLD.GE

ონლაინ-გამოცემაში Geworld.ge მონიტორინგის პერიოდში ჰომოფობიური გამოხატვა 11-ჯერ გამოვლინდა. მათ შორის ყველაზე ხშირი იყო ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრების მცდელობა, პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან (4).

ცალკეული მაგალითები:

### პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება

- **არამზ სანებლიძე:** „გახრწნილების ამ ფორმას [პორნო და სექს საიტებს] ლობიერებს ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა და ტრანსგენდერთა საზოგადოებები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ბავშვების ადრეული სექსუალიზაციის დანერგვას და აღწევენ კიდევ თავისას... კანიბალიზმის ბრალდებით პოლიციამ დააპატიმრა 41 წლის მამაკაცი. ჩართული ვიდეო კამერის წინ მან მოკლა, აქნა და შეჭამა 42 წლის მამაკაცი... ამ უკანასკნელის თანხმობით. ეს დანაშაული ახსნეს იმით, რომ ორივე მამაკაცი მიდრეკილი იყო ჰომოსექსუალიზმისა და კანიბალიზმისკენ“ (25 დეკემბერი, 2014).

### ჰომოსექსუალობა არის ნორმიდან გადახრა, არატრადიციული ორიენტაცია

- **ეკა ნასყიდაშვილი:** „რატომ მოკლეს ჟვანია? თუ მას სქესობრივი გადახრა ჰქონდა, როგორც მისი თანაგუნდელი „ნაცები“ ამბობენ, ეს იქნებოდა მისი მკვლელობის მიზეზი? რა უფრო დიდი სირცხვილია, ის რომ პრემიერს განსხვავებული ორიენტაცია აქვს, თუ ის, რომ პრემიერს კლავენ? (18 თებერვალი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ, ძალადობისკენ მოწოდება, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაპირისპირება

- **იაკობ ლეჟავა:** „იყო კიდევ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული შავი ჭირი და „ისპანკად“ წოდებული გრიპი... დღეს კი ცისარტყელას ფერებით გაფორმებული ფერადი ჭირი ყველა კონტინენტზეა გადაჭიმული გიგანტურ ცისარტყელად... ბუნებაში ხომ ყველაფერს (ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ჩათვლით), სტიქიურ მოვლენებსაც კი, ორი მხარე აქვს – დადებითი და უარყოფითი, ყველაფერს, სიგარეტისა და ჰომოსექსუალიზმის გარდა!“ ალლო, მე თუ მკითხავთ, ჩვენმა „მეტრმა“ – რუსეთმა აულო, როცა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აკრძალა. რა, ჩვენ გვაწყენდა ანალოგიური კანონის მიღება?“ (Geworld.ge, 15 იანვარი, 2015).

## საქინფორმი

საქინფორმის ჟურნალისტებმა ლგბტ პირთა თემაზე საუბრისას ჰომოფობია მ-ჯერ გამოავლინეს. ამ დროს გვხვდება ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების გავრცელება, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება; აგრესიული განცხადებები ლგბტ პირთა მიმართ.

ცალკეული მაგალითები:

### პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება

- „სპეციალური ჯალათები – მამათმავლები, ასევე სადისტები – ე. წ. ძალოვანი სტრუქტურების – შსს-ს, სამხედრო პოლიციისა და სააკაშვილის პენიტენციარული სისტემის სადისტი თანამშრომლები ძალადობენ მამაკაცებსა და მოზარდებზე“ (11 დეკემბერი, 2014).

### ჰომოსექსუალობა არის დაავადება, ნორმიდან გადახრა

- **ნინო ქართველიშვილი:** „ყველა ქვეყნის მედიკოსთათვის ცნობილია, რომ ე.წ. „სექსუალური უმცირესობები“

ბუნებაში მხოლოდ 5%-ი იბადებიან... იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც უნარშემბლუდული, ხეიბარი, დაუნის სინდრომით თუ კიდევ სხვა დაავადებების მქონე ადამიანები... სწორედ ეთიკისა და მორალის (ზნეობის) თვალსაზრისით, ასეთი ურთიერთობები საზოგადოებაში უზნეობად ითვლებოდა! ოღონდ, მის პროპაგანდაში ადრე არც გრანტს იძლეოდნენ, არც კარგ სამსახურსა და არც კანონი (ანტიდისკრიმინაციული) იცავდა მათ. არც ასეთი მიდრეკილებების აფიშირებას ახდენდა ვინმე?!“ (16 დეკემბერი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება

- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „თუ ღარიბაშვილს პრემიერად დარჩენა და აყვავებული საქართველო სურს, პარლამენტს სასწრაფოდ უნდა მიაღებინოს ყველა ის კანონი, რომელიც რუსეთში მიიღეს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინიციატივით. კერძოდ – კანონი მოზარდებს შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ; კანონი სახელმწიფო ტერიტორიაზე უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვის შესახებ... მაშინ საქართველოში აღარ გამოიციემა დიდი ტირაჟებით იმ ავადმყოფ გარყვნილთა ბინძური ბროშურები“ (12 მაისი, 2014).

### პირველი

#### ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება

- „ინტერნეტში ერთსქესიანთა თანაცხოვრების შესახებ ვიდეო გავრცელდა... როგორც ვიდეოში არის საუბარი, მეცნიერების გამოკვლევის თანახმად, ბავშვებს, რომლებიც ერთსქესიანთა ოჯახში გაიზარდნენ, ვენერიული დაავადებისა და სუიციდისკენ აქვთ მიდრეკილება“ (16 მაისი, 2014).

## საპაუწყავლო კედლი

### ობიექტივი

მედია-კავშირის „ობიექტივის“ თოქ-შოუ „ღამის სტუდიაში“, ისევე როგორც გაზეთ „ასავალ-დასავალში“, განსაკუთრებით აქტუალური იყო მოსაზრება, რომ ლგბტ პირთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს, თავსმოხვეულია დასავლეთისგან, ლიბერალების მიერ.

ცალკეული მაგალითები:

#### ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია დასავლეთისგან, ლიბერალების მიერ, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **ბონდო მძინარაშვილი:** „ბერლინის მერი იყო ჰომოსექსუალი... პარიზის მერი კი ბატონო, ახლა საქართველოში უკაცრავად არასწორი შედარებაა რასაკვირველია, მაგრამ არათბილისელის მერად არჩევას რამხელა წინააღმდეგობა შეხვდა, ახლა ჰომოსექსუალის მერად არჩევა როგორ წარმოგიდგენიათ?“ (31 ივლისი, 2014)

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიუღებლობა

- **ვალერი კვარაცხელია:** „ამ თემის [ჰომოსექსუალობის] პროპაგანდა კანონით უნდა იკრძალებოდეს თუ არ უნდა იკრძალებოდეს?
- **ვალერი კვარაცხელია:** მე პირადად ვერანაირად ვერ მოვეკიდები გაგებით აი, ამ მოვლენის [ჰომოსექსუალობის] პროპაგანდისტებს, იმათ, ვინც ცდილობს, რომ ეს თავზე მოახვიოს საზოგადოებას“ (28 დეკემბერი, 2014).

### კავკასია

#### ჰომოსექსუალობა გადახრაა

- **დავით აქუბარდია:** „გუვერი გომოსექსუალისტი იყო ვიცით, ყველამ ვიცით და რაღაც „ლიჩინი“ თუ რას ეძახიან, პირადი ურთიერთობა თუ სიმპათია ჰქონდა დუეინ ემენჰაუერთან. ხოდა, პათოლოგიური გადახრის გამო, ეს კაცი არა, აი, თავისნაირი ადამიანების კარტოთეკა შექმნა“ (სპექტრი, 9 სექტემბერი, 2014).

### საზოგადოებრივი მახწყობელი

#### სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება

- 2014 წლის 6 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო პროგრამაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ამერიკაში, კანზასის შტატში მშობლების დაუდევრობით მომხდარ უბედურ შემთხვევას შეეხებოდა. კერძოდ, 10 თვის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი მშობლების მიერ მისი მანქანაში დატოვება და 30 გრადუსიანი სიცხე გახდა. ამერიკული წყარო, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა, საუბრობს ერთ მშობელზე, რომლის დაუდევრობითაც ბავშვი დაიღუპა. პირველი არხი კი აქცენტს ხაზგასმულად „ჰომოსექსუალურ წყვილზე“ აკეთებს. სამაგიეროდ, არხს არ აღუნიშნავს, რომ წყვილი 5 შვილის მშობელია. წამყვანის საავტორო ტექსტში აღნიშნული იყო: „არატრადიციული ორიენტაციის წყვილს 10 თვის ქალიშვილი მანქანაში დარჩა – ბავშვი სიცხისგან დაიღუპა“. ვაშინგტონ პოსტის ცნობით, მხოლოდ 2014 წელს, მხოლოდ შეერთებულ შტატებში 21 ბავშვი დაიღუპა მას შემდეგ, რაც ისინი მშობლებმა მანქანაში, სიცხეში დატოვეს. „მოამბის“ რედაქციამ კი მხოლოდ ჰომოსექსუალურ წყვილს თავს დატეხილი ტრაგედია შეარჩია, დანარჩენი 20 შემთხვევა კი არ გაუშუქებია.

აღნიშნული გაშუქება 11 არასამთავრობო ორგანიზაციამ<sup>5</sup> სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირებისა და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციის გამო, ღვბტ პირთა მიმართ საზოგადოებაში შეუწყნარებლობის გარემოს გაღვივებად შეაფასა და ერთობლივი განცხადება გაავრცელა.

#### შუღლის გაღვივება

- 2014 წლის 19 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებელზე, რელიგიური რიტუალის კომენტარებისას, სასულიერო პირმა საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ისაუბ-

<sup>5</sup> [http://mdfgeorgia.ge/geo/view\\_\\_statements/79](http://mdfgeorgia.ge/geo/view__statements/79)



რა, რა დროსაც ლგბტ პირების სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას და მათი შეურაცხმყოფელი ტერმინებით („ბილწი ურთიერთობები“) მოხსენიებას ჰქონდა ადგილი. კომენტარში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ „ეს იქნება შეურაცხყოფა იმ სწავლებისა და ტრადიციისა, რომელიც აქვს ამ ეკლესიას და რომელიც აქვს ამ ერს და აუცილებლად ეს გამოიწვევს შეხლა-შემოხლას ერში“, „ამ ცოდვების გამო დაისაჯნენ ადამიანები – გოგირდის წვიმით და ცეცხლით“.

აღნიშნული განცხადებების გამო „არა ფობიას“ წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სარჩელით მიმართეს საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს<sup>6</sup>. სარჩელი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არ დაკმაყოფილდა, რაც მაუწყებელმა გამოხატვის თავისუფლებით გაამართლა.

### თელავოპანია „იმედი“

ტრანსგენდერი საბის მკვლელობის თემაზე, რომელიც გამოძიების ოფიციალური ვერსიით, სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოხმდარ შელაპარაკებას უკავშირდებოდა, „იმედის კვირამ“ სიუჟეტი მოამზადა. კრიმინალურ შემთხვევასთან დაკავშირებულ სიუჟეტში დაუსაბუთებლად იყო მოყვანილი ფრაგმენტი საარქივო მასალიდან, რომელიც გარდაცვლილის სექსუალური ორიენტაციის შეხებოდა. კერძოდ: „შინაგანი ბრძოლა მქონდა, რომელიც ძალიან რთული იყო და დავძლიე, მომწონს მამაკაცები“. აღნიშნულ სინქრონს მოსდევდა დანაშაულში ბრალდებულის სასამართლო პროცესის კადრი, რასაც დანაშაულის მოტივზე შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა შეექმნა (იმედის კვირა, 16 ნოემბერი, 2014).

## 1.2. პოლიტიკური პარტიები


2014 წლის 17 თებერვლიდან 2015 წლის 17 თებერვლამდე მედიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან ჰომოფობიური გამოხატვის 70 შემთხვევა დაფიქსირდა. ამ მონაცემებში არ შედის ანტიევროპული რიტორიკა, რომლის დროსაც ლგბტ თემატიკა გამოყენებული იყო პოლიტიკური სპეკულაციისთვის; ასევე, როცა ლგბტ ტერმინოლოგია გამოყენებული იყო პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, სიძულვილის ენის სახით.

ჰომოფობიური გამოხატვის მიხედვით პირველ ადგილზეა პოლიტიკური გაერთიანება „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ (20) და მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია „სახალხო კრება“ (5), ანუ ჯამში 25 შემთხვევა; შემდგომ პოზიციებზე არიან ქართული ოცნების (16) და პატრიოტთა ალიანსის (12) წარმომადგენლები; მათ მოსდევს ლეიბორისტული პარტია (7); პარტია „იმედი“ (5) და თავისუფალი საქართველო (4); თავისუფალი დემოკრატები (1); სახალხო პარტია (1);

<sup>6</sup> [http://www.mdfgeorgia.ge/geo/view\\_news/27](http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_news/27)



დიაგრამა 5. ჰომოფობია პოლიტიკური პარტიებისა და მათთან აფილირებული ჯგუფების მიხედვით



დიაგრამა 6. ჰომოფობიური გამოხატვის ძირითადი ტენდენციები პარტიების მიხედვით



კოალიცია „ქართული ოცნება“

განხილულ პერიოდში კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების ჰომოფობიური გზავნილები 16-ჯერ გაჟღერდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ძირითად გზავნილებში დომინანტური ადგილი უკავია მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჰომოსექსუალობა არის დაავადება, ნორმიდან გადახრა, არატრადიციული ორიენტაცია (6); ასევე ხდება

აზრის გავრცელება იმის თაობაზე, რომ ლგბტ პირებს აქვთ არსებობის უფლება, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის; აქვე ლგბტ უფლებების დაცვა უმრავლესობაზე ძალადობად ცხადდება (3); დისკრიმინაცია, ანტიდისკრიმინაციულ კანონის მიუღებლობა (4); ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია გარედან, დასავლეთისგან, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს (2); ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე (1);

ცალკეული მაგალითები:

#### ჰომოსექსუალობა არის დაავადებაა, ნორმიდან გადახრა, არატრადიციული ორიენტაცია

- **დავით ფაცაცია:** „კანონი რას ამბობს, რომ ადამიანი არ დაჩაგრო იმის გამო, რომ ის ავადმყოფია. ჩემი აზრით, ასეა რა. ჩემის აზრით, ეს არის დაავადება, რომელიც არის გენეტიკური, ან რაღაცა მდგომარეობით გამოწვეული“ (ობიექტივი, ლამის სტუდია, 1 ივნისი, 2014).
- **ნუკრი ქანთარია:** „ეს, რომ ფაქტი ნორმალური არ არის და ანომალიაა ჩემთვის პირადად, ცოდვაა ეკლესიურად, ბუნებრივია, და მე ვთვლი, რომ ეს არის გადახრა. ეს არის ბუნების საწინააღმდეგოდ...“ (ობიექტივი, ლამის სტუდია, 5 მაისი, 2014)

#### ჰომოსექსუალობა ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **ზაზა პაპუაშვილი:** „სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს, თავში ქვა უხლიათ. მივმართავ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს, დაიცვან იმ ქვეყნის ინტერესები, სადაც ცხოვრობენ“ (ინტერნუსი, 29 აპრილი, 2014)

#### დისკრიმინაცია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიუღებლობა

- **ომარ ნიშნიანიძე:** „ჩვენ, პარტია „ქართულ ოცნებას“, სწორედ ეს გვაწუხებდა და ფიცი დავდეთ, რომ მომავალში თუ ვინმე გაბედავს და გვეტყვის, ხმა მიეცით ამ კანონსო, კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნებით. პირდაპირ გეუბნებით: ხელი მიკანკალებდა, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვამტკიცებდით, მაგრამ ხანდახან ჩვენც გვიწევს დათმობაზე წასვლა ქვეყნის გადასარჩენად, თუნდაც იმისგან, რომ არ მოხდეს უკრაინიზაცია“ (Geworld.ge, 4 ივნისი, 2014).
- **ომარ ნიშნიანიძე:** „რატომ არის? მეტრაკეობასა და მშობლის პატივისცემას შორის, მაპატიე და... სიძვა სხვაა და ის სხვაა“ (ნეტგაზეთი, 16 მაისი, 2014)
- **მურმან დუმბაძე:** „ანტიდისკრიმინაციული კანონი მივიღეთ, ჰომოსექსუალიც კი გათანაბრებულია ნებისმიერ ადამიანთან და პოლიტიკური პარტიის წევრობა რას უშლის ადამიანს?“ (რეზონანსი, 14 თებერვალი; 2014).

#### ლგბტ პირებს აქვთ არსებობის უფლება, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის; ლგბტ პირთა უფლებების დაცვა ძალადობაა უმრავლესობაზე

- **ზაზა პაპუაშვილი:** „ეგლა მაკლია, ვსდით ახლა ნებისმიერ გომოსექსუალისტებს და პადიებდებთან თავში რაღაცა ვუბრაგუნო... მის დაკანონებას, პროპაგანდას არასოდეს არ დავუჭერ მხარს, მაგრამ რეალობას შევხედოთ,

<sup>7</sup> ამჟამად არ არის ქართული ოცნების წევრი

ასეთი ადამიანები ჩვენს გარშემო არსებობენ, ერთსქესიანთა ქორწინება იქნება თუ ბავშვების აყვანა იქნება, თუ რა იქნება და ასეთების პროზაგანდას შევეწირები“ (კავკასია, დღეს, 29 აპრილი, 2014).

- **გოგი თოფაძე:** „მოგეწონებათ, ორი მამაკაცი რომ გამოვიდეს ქორწინების სახლიდან გადახვეული?.. [კანონში] წერია, რომ არ უნდა დავარბოთ. თავისუფლება თუ გვინდა და დემოკრატია, ბუნებრივია, უნდა აიტანო ეს, მაგრამ ამის რეკლამირება, ამის ძალიან გახმაურება არ არის მიღებული“ (ნეტგაზეთი, 15 მაისი, 2014).

## ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები

„ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული გზავნილებიდან (20) ყველაზე დიდი ადგილი უკავია დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაპირისპირებას (7), ასევე გზავნილებს, რომ ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია დასავლეთიდან, ეწინააღმდეგება ქართულ ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებს (5); ჰომოსექსუალობა დაავადებაა, ნორმიდან გადახრა, არატრადიციული ორიენტაცია (5); პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება (2); ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე (1).

ცალკეული მაგალითები:

### პარალელები დანაშაულთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების გავრცელება

- **ჯონდი ბალათურია:** „მასობრივი გაუპატიურება პატიმრების და წამება, ყველა ამაში ჩართული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალები. სხვა ამას კაცი არ აკეთებს უბრალოდ...“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 30 აპრილი, 2014).
- **ირაკლი ბათიაშვილი:** „ეს ფილოსოფია, რომ სექსუალური ორიენტაცია დააყენო იმავე რანგში განსხვავებულობის, როგორც არის სხვაგვარად აზროვნება, ადამიანის მრწამსი, აზრის გამოხატვა, კანის ფერი, რასა და ასე შემდგომ, ეს არის ფუნდამენტურად არასწორი... სახელმწიფო უნდა იცავდეს ყველას, მათ შორის, პატიმარსაც, მათ შორის, მკვლელსაც, როგორც ადამიანს ოღონც ის კანონით უნდა ისჯებოდეს. ვინც არ უნდა იყოს, პედერასტია, თუ ვინც არის, ის არის ადამიანი... მაგ ლოგიკით, რომ გამოვიდეს სატანისტების სექტა, შეეხებათ მათ დისკრიმინაცია, თუ არა, მაინტერესებს?“ (კავკასია, ბარიერი, 14 მაისი; 2014).

### ჰომოსექსუალობა არის დაავადება, ნორმიდან გადახრა

- **ჯონდი ბალათურია:** „ინცესტი ნორმაა? პედოფილია ან ნეკროფილია ნორმაა? ეს არის გადახრა ნორმისაგან, ხომ? ამიტომ ვიმსჯელოთ ისე, რომ ნორმიდან გადახრილი ადამიანები, როგორც არის ან ნარკომანია, დამოკიდებულება ნარკოტიკზე ან სხვა რამეზე ან კიდევ იგივე სექსუალური გადახრა რომელიც ადამიანს აქვს“ (კავკასია, დღეს, 29 აპრილი; 2014).

### ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია გადასავლეთისგან, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **დიმიტრი ლორთქიფანიძე:** „ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ჰომოფობიის ის განმარტება, რომელიც

ევროკავშირის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში კულტივირდება... მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე... საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს, თავზე მოეხვეს პროპაგანდისტული, გეიბლუმებისა თუ სხვადასხვა პერფორმანსების გზით, გაუკულმართებული სექსუალური გზის წესი, ეს არის აბსოლიტურად დასაგმობი და ამ შემთხვევაში მე ვდგევარ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის აბსოლიტური უფლებების სადარაჯოზე“ (რუსთავი 2, კვირის თემა, 18 მაისი; 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ ღია მოწოდება

- **ნინო ბურჯანაძე:** „შესაძლოა, საბავშვო ბაღებში ან სკოლებში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც ღიად აფიქსირებენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას. როცა ის სკოლაში ბავშვს აუხსნის, რომ არაფერი არ არის არანორმალური იმაში, რომ ის სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია, ეს არის ჩემი კრიტიკის საგანი“ (რეზონანსი, 12 მაისი; 2014).
- **გურამ ფალავანდიშვილი:** „ჩვენ შევძლებთ, შევერთდებით საკრებულოში, ბატონი დიძას დახმარებით, რომ პროპაგანდა მამათმავლობის საქართველოში აკრძალვით, გეი პარადები, გარყვნილი ფოტოები, სურათები და ასე შემდეგ“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი სტუდია, 16 მაისი; 2014)

### სახალხო კრება

სახალხო კრების სახელით მონიტორინგის პერიოდში ჰომოფობიური გამოხატვის 4 ფაქტი გამოვლინდა. ორი მათგანი ავითარებს მოსაზრებას, რომ დასავლეთი საქართველოს მისთვის მიუღებელ ღირებულებებს, „ყველაფერს გარყვნილს“ ახვევს თავს. გვხვდება ერთსქესიანი ქორწინების „საფრთხეზე“ მინიშნებები (1) და ჰომოსექსუალიზმის უზნეობად მოხსენიება(1).

მაგალითი:

- **ელიზბარ ჯაგელიძე:** „ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, იქაც არის ეს ხაზი გამოკვეთილი, რომ თურმე ისე უნდა აღვზარდოთ შვილები ოჯახში 14 წლის ასაკიდან უნდა გადაწყვიტოს, რა სქესის არის. შვილი უნდა აღიქვამდეს ერთსქესიან ქორწინებას და ეს ავადმყოფობა ნორმალურად აღიქვას.“ ...10 წლის წინათ მიიღეს კანონებში მსგავსი ჩასწორებები, დიდი ჯანყი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, რომ ამას ერთსქესიანი ქორწინება მოჰყვებოდა, აქეთ მიდის ჩვენი საქმეც“ (აღია, 11-14 ივლისი, 2014).

### პატრიოტთა ალიანსი

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები ასევე გამოირჩევიან ჰომოფობიური გამოხატვით. განსახილველ პერიოდში გამოვლენიულია 12 მაგალითი; პატრიოტთა ალიანსის ჰომოფობიური გამოხატვის ძირითადი ტრიბუნა ობიექტივი, Geoword.ge, ასავალ-დასავალი და იმედი.

ჰომოფობიური გამოხატვა განსაკუთრებით გააქტიურებული იყო ალიანსის წარმომადგენელთა მხრიდან ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღების კონტექსტში. აქ ისმოდა რადიკალური განცხადებები ანტიდისკრიმინაციული კანონისა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ, იყო მოწოდებები მისი გაუქმების შესახებ (2); ყველაზე ხშირია ტენდენცია, რომ ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება (5); ძირითადი ხაზი, რომელსაც თავის გამოსვლებში პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები მისდევდნენ, არის ევროპული უარყოფითი ზეგავლენის ხაზგასმა საქართველოს ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლაში (3). მაგალითად, გვხვდება ტრადიციების დაკარგვის საფრთხის ხაზგასმა „თუ ეს ყველაფერი შენარჩუნდა, საქართველოში დადგება საკითხი უკვდავი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ აკრძალვის შესახებ...“ ასევე ეს პარტია თითქმის ერთადერთია, რომელიც განხილულ პერიოდში საუბრობს იმაზე, რომ ლგბტ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების ერთ სიბრტყეზე დაყენება შეურაცხყოფს ეთნიკური უმცირესობების ღირსებას; გვხვდება პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრების მცდელობა (1); შედარებით იშვიათია ჰომოსექსუალობის დაავადებასთან გათანაბრების ტენდენცია (1).

### ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია დასავლეთისგან

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „არ მინდა ევროპა, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვაში ჩამადგებს. ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა საქართველოში, თუ ის პედარასეტების და ლესბოსელების ქვეყანა გახდება“ (Geworld.ge, 8 მაისი, 2014).

### ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „თუ უსუფაშვილს სჭირდება, მაშინ პირადი მაგალითით გვიჩვენოს, ოღონდ საჯაროდ და სახალხოდ, – გაათხოვოს თავისი ბიჭი, გოგო კი გოგოზე დააქორწინოს, იგივე გააკეთოს იმ 112-მა პარლამენტარმა, რომელთაც ამ კანონს მხარი დაუჭირეს ... ეს მოლაღატე პარლამენტი და მე მრცხვენია“ (Geworld.ge, 8 მაისი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება

- **მამუკა გობეჩია:** „პირველი, რასაც გავაკეთებთ, ეს იქნება ამ კანონის [ანტიდისკრიმინაციულის] გაწვევა... გავა 10-15 წელიწადი და დამერწმუნეთ, თუ ეს ყველაფერი შენარჩუნდა, საქართველოში დადგება საკითხი უკვდავი ნაწარმოების „ვეფხისტყაოსნის“ აკრძალვის შესახებ... იქ არის ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები... შეიძლება აიკრძალოს „ხევისბერი გოჩა“, ასევე შეიძლება აიკრძალოს „ხმელი წიფელი“ და ჩვენი სულიერება გალატაკდება“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ივნისი, 2014).

### ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება

- **დავით თარხან-მოურავი:** „რეალურად ხომ დღეს ყველამ იცის, რომ 3 %-ზე ნაკლებია მსოფლიოში ე.წ სექსუალური უმცირესობები. მაგრამ მთელი მსოფლიო შეაწუხეს. შეაწუხეს ამ თავისი გაუთავებელი რაღაცა მოთხოვნებით... სინამდვილეში კიდევ უნდათ, რომ მოგვახვიონ თავს საკუთარი იდეოლოგია... არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ამას ასე ხელალებით მივუდგეთ“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 დეკემბერი, 2014).

## ლეიბორისტული პარტია

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთა ავტორობით მონიტორინგის პერიოდში ჰომოფობიური გამოხატვის 7 შემთხვევა გამოვლინდა. ლეიბორისტული პარტიის რიტორიკა ლგბტ პირთა უფლებებთან და ანტიდისკრიმინაციულ კანონთა მიმართებაში უფრო მეტად მიმართულია ამ თემით პერსონალური დისკრედიტაციისკენ და პოლიტიკური დაპირისპირებისთვის (ბიზნესმენ ლევან ვასაძესთან, ბიძინა ივანიშვილთან, ქართულ ოცნებასთან და ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებაში). ასევე ეს თემა გამოყენებულია ბიზნესმენ ლევან ვასაძისა და პოლიციის თანამშრომელთა დისკრედიტაციისთვის. შედარებით ნაკლებად არის დრამატიზებული თავად ლგბტ უფლებათა დაცვის შედეგები და ნაკლები აქცენტია გარე ფაქტორების როლზე ამ პროცესში.

ცალკეული მაგალითები:

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება, ანტიდისკრიმინაციულ კანონის მიუღებლობა

- **შალვა ნათელაშვილი:** „ისტორიკოსები იმას კი არ გაიხსენებენ, რომ მან [ბიძინა ივანიშვილი] სამეხა ააშენა, არამედ ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიაღებინა და გეების ალლუმში ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, ხელი არ შეუშალა. იმასაც გაუხსენებენ, „კამანტიპი“ რომ ჩაატარა“ (კვირის ქრონიკა, 24-30 ნოემბერი, 2014).
- **გიორგი ყორღანაშვილი:** „თბილისში ამ ლგბტს და ამათ ბაირამობის უფლებას არავის არ მივცემ და მე მგონი შევეცდები, აუცილებლად და იქნებ გავიტანო კიდეც, ნაცები იმდენად არა და ქოცებიან ყველაფრიანად, რომ აიკრძალოს თბილისში“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 15 მაისი, 2014).

## პარტია „იმედი“

პარტია იმედი ახდენს ჰომოსექსუალობისა და კანიბალიზმის, ჰომოსექსუალობისა და ვეგეტარიანელის გაიგივებას. საურობს საფრთხეებზე საქართველოს მოსახლეობის ტრადიციებისთვის, რომელსაც მათ ლგბტ უფლებების დაცვა უქადის. აღნიშნული თემა ასევე გამოყენებული აქვს ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირების მიზნით.

### პარალელები დანაშაულთან

- **ირინა სარიშვილი:** „კანიბალიზმი ასეთივე [ჰომოსექსუალობა] გადახრაა ადამიანის ფსიქიკის და როგორ წარმოგიდგენიათ, „პრადვინუტებო“, თქვენი ლოგიკით, ასე თუ გაგრძელდა, კანიბალი რომ სუფრაზე მოხვდეს, ძალიან დავარღვევთ მის უფლებებს, თუ სუფრაზე მისი საყვარელი კერძი არ იქნება? მე არაფერს ვამეტებ, ყველაფერი აქეთკენ მიდის!“ (რეპორტიორი, 12 ივნისი, 2014).

### ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება

- **ირინა სარიშვილი:** „არცერთ ადამიანს არ ვართმევ არსებობის და ცხოვრების უფლებას, მაგრამ კატეგორიულად ვერ მივიღებ, ჰომოსექსუალმა, ვეგეტარიანელმა თუ სხვამ თავისი უფლებები ჩემზე წინ დააყენოს“ (ასავალ-დასავალი, 16-22 ივნისი, 2014).

## თავისუფალი საქართველო

პარტია „თავისუფალი საქართველო“ სახელით ჰომოფობიური გამოხატვის 4 შემთხვევა გვხვდება. პარტიის წარმომადგენლები ატარებენ მოსაზრებას, რომ ჰომოსექსუალობა და პედოფილია და ნეკროფილია ერთ სიბრტყეში უნდა განვიხილოთ; საუბარია იმაზე, რომ ეს მიუღებელია ევროპულ ქვეყნებშიც (რაც საკმაოდ იშვიათი მიდგომაა წარმოდგენილ მასალებში), ასევე საუბარია იმაზე, რომ ლგბტ პირთა შეურაცხყოფისთვის უმრავლესობის წარმომადგენლის დასჯა მიუღებელია.

მაგალითი:

### პარალელები დანაშაულთან, ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების გავრცელება

- **კახა კუკავა:** „სექსუალური ორიენტაცია ჰომოსექსუალიზმის გარდა მილიონ სხვა სიმახინჯესაც გულისხმობს, მაგალითად, ნეკროფილია, პედოფილია და ა.შ.“ (რეზონანსი, 3 მაისი, 2014).

## თავისუფალი დემოკრატები

თავისუფალი დემოკრატების ერთი წარმომადგებლის – ვიქტორ დოლიძის გამონათქვამი ხვდება ჰომოფობიური გამოხატვის ნუსხაში. რესპონდენტი ძალადობის აღკვეთის წინააღმდეგ გამოდის, თუმცა აქვე ჰომოსექსუალობას „ბუნების წინააღმდეგ წასვლას“ უწოდებს.

### ჰომოსექსუალობა ბუნების წინააღმდეგ წასვლაა

- **ვიქტორ დოლიძე:** „როდესმე ყოფილა, რომ საქართველოში ეროვნული ან სექსუალური უმცირესობისთვის რაიმე პრობლემები შეექმნა რომელიმე მოქალაქეს? მე მართალი გითხრათ ბევრს ვერ ვიხსენებ ამდგვარს, ცოტასაც ვერ ვიხსენებ. არავის აქვს უფლება, რომ მისი პირადი შეხედულებების, თუნდაც ბუნების წინააღმდეგ რომ წავა ადამიანი და ამგვარ ცხოვრების წესს აირჩევს, მის წინააღმდეგაც ნებისმიერი ძალადობა უნდა იყოს აღკვეთილი“ (ნეტგაზეთი, 6 აპრილი, 2014).

## 1.3. ხადისუფლავის მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები

მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან მონიტორინგის პერიოდში ჰომოფობიური გამოხატვის ნ ფაქტი გამოვლინდა; მათ შორის გვხვდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ამ ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა თვითგამოხატვის უფლება (2); დისკრიმინაციისკენ, აკრძალვებისკენ, ძალადობისკენ მოწოდება (4).

ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომლის ჰომოფობიური გამოხატვა მონიტორინგმა გამოავლინა, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების დავით დარახველიძე იყო. მის ინტერვიუში, კერძოდ, ნათქვამია:



- **დავით დარახველიძე:** „ჰომოსექსუალი ადამიანები არიან ავადმყოფები და თანაგრძნობას იმსახურებენ, თუმცა ეს ადამიანები აქციებს ატარებენ და ამ აქციებით პურს მათი მხარდამჭერები ჭამენ, რომლებიც სრულიად ნორმალური ორიენტაციის მქონენი არიან. ჩვენ რა საქმესაც ვაკეთებთ, იმის რეკლამასა და საზოგადოების სრულად ინფორმირებასაც ვერ ვახერხებთ და იმ კაცმა, რომელსაც რაღაც სექსუალური გადახრა აქვს, ამას რეკლამა რატომ უნდა გაუკეთოს?!“ (გაზეთი „ვერსია“, 9 მაისი, 2014).

მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ჰომოფობიურ გამოხატვას ასევე მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების მინისტრმა დიმა ჯაიანმა (4);

- **დიმა ჯაიანი:** „არაკაცებო! ჭკუიდან ნუ გადაიყვანეთ ხალხი, თორემ შარშანდელი 17 მაისი მონაგონი იქნება! ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ 17 მაისს კინოთეატრი „რუსთაველი“... მამათმავლობის აპოლოგიით არ წაიბილწოს!“ (ასავალ-დასავალი, 21-27 აპრილი, 2014).

ასევე, სიძულვილის ენასთან ერთად, გვხვდება ალლუმის ჩატარებისა და ლგბტ პირების თვითგამოხატვის წინააღმდეგ გამოსვლა პოლიციის აკადემიის ვიცე-რექტორის და პარლამენტარის მურმან დუმბაძის რიტორიკაში:

- **ლუკა კურტანიძე, პოლიციის აკადემიის ვიცე-რექტორი:** „პიდარასტობა და ცისფერობა, რომ ამას ასწავლიდით? აბა, მაშინ რას აკეთებთ, რას, მითხარით, ალლუმის ჩატარება მე მინდა?!.. ნუ გადაყვები მეთქი... ეს სააკი-ანია თუ სააკაშვილია..“ (რუსთავი 2, პოსტკრიპტუმი, 5 ოქტომბერი, 2014).

## ყოფილი თანამდებობის პირები

მონიტორინგის შედეგად ყოფილი თანამდებობის პირების მიერ ჰომოფობიური გამოხატვის 9 ფაქტია გამოვლენილი. მათგან უმეტეს შემთხვევაში (5) გვხვდება დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ ღია მოწოდება, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაპირისპირება; მოსაზრება, რომ ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება (2); ასევე საუბარია იმაზე, რომ ჰომოსექსუალობა არჩევანია (1); თავს მოხვეულია დასავლეთის, ლიბერლების მიერ (1).

## სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია

- **ვახტანგ რჩეულიშვილი, პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი:** „ჩემს ახალგაზრდობაში იყო ესეთი ანეკდოტური შეკითხვა: უკანო კაცის სასქესო ორგანო რო იყოსო და წინიდან დანაო, სად წაიწვედიო? გვერდში გავიდოდი თქვენი დედაცო. აი, ეს თუ არ ისწავლე და თუ არჩევანი მაინც ისეთი გინდა, რომ ან დანას დაასკდე, ან კაცის სასქესო ორგანოს, ყოველთვის იქნები წაგებული, ან პიდარასტი იქნები ან მკვდარი...“ (კავკასია, სპექტრი, 5 სექტემბერი, 2014).

## დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება, ანტიდისკრიმინაციულ კანონის მიუღებლობა

- **თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „ეს პარლამენტი, რომელმაც ეს კანონი მიიღო, ჰომოსექსუ-



ალეებისა, ეს უნდა დაიშალოს. ეს პარალმენტი არ უნდა არსებობდეს საერთოდ საქართველოში“ (იმედი, ქრონიკა, 17 მაისი, 2014).

- **თამაზ ვაშაძე, თბილისის ყოფილი მერი:** „ზვიადი დაამხეს ამ ნაძირლებმა და დალუპეს ქვეყანა, – ჰომოსექსუალები დაეპატრონენ საქართველოს! ნახეთ „პირველი არხის“ არქივში, რა უთხრა კიტოვანმა ჟვანიას პარლამენტის სხდომაზე: ბიჭო, ზვიადი, რომ დავამხე, მადლობა მითხარი, თორემ ხელისუფლებაში, რომ დარჩენილიყო, ახლა შენ და შენისთანები #8 კამერაში იჯდებოდით მამედასთან ერთადო!“ (ასავალ-დასავალი, 14-20 ივლისი, 2014).
- **ვალერი გელახიანი, პარლამენტის ყოფილი წევრი:** „ვიღაცა თუ მამათმავალია, ჩემზე უპირატესი უფლება რატომ უნდა ჰქონდეს რამეში?!“ (ასავალ-დასავალი, 5-11 მაისი, 2014).

**ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება.**

**ლგბტ უფლებების დაცვა ძალადობაა უმრავლესობაზე**

- **ვალერი ხაბურძანია, ყოფილი უშიშროების მინისტრი:** „ჩვენში კი, დისკრიმინაციასთან ბრძოლის სახელით უზენოესი პროპაგანდა მიმდინარეობს, ნახეთ რა ხდება საქართველოში! სერიალი არ გადის, რომელშიც ლგბტ თემა, არ არის ხელოვნურად ჩაკვებულნი!.. რიგ შემთხვევებში თავად ძალადობენ უმრავლესობის უფლებებზე“ (ასავალ-დასავალი, 19-25 მაისი, 2014).

## 1.4. სასულიერო პირები

ჰომოფობიური გამოხატვის კვლევის დროს ცალკე გამოვყავით რესპონდენტი სასულიერო პირები და ის აქცენტები და მოსაზრებები, რომლებიც ლგბტ თემატიკასთან დაკავშირებით მათ გამოთქვეს მედიაში.

მონიტორინგის პერიოდში სასულიერო პირების მხრიდან ჰომოფობიური გამოხატვის სულ 42 შემთხვევა დაფიქსირდა. რესპონდენტთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელია.

რესპონდენტების მედია-გაშუქების მიხედვით კვლავ ლიდერობს გაზეთი ასავალ-დასავალი. სხვა ჯგუფების გაშუქებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ხუთ მედია საშუალებაში, რომელიც ყველაზე ხშირად აშუქებს სასულიერო პირების ჰომოფობიურ გამონათქვამებს, ამჯერად ასავალ-დასავალის, ალიასა და საქინფორმის გვერდით, საინფორმაციო სააგენტოები ინტერპრესნიუსი და პირველი გვხვდება.

სასულიერო პირთა განსაკუთრებული აქტიურობა გამოვლინდა 2014 წლის 17 მაისის წინ და ივნისში, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან მიმართებაში. მთავარი გზავნილები სხვა ჯგუფების წარმომადგენლების მსგავსია; თუმცა, ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების გავრცელების, მათი სტიგმატირების გარდა, კეთდება ცოდვაზე, სულიერებისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ცოდვის შედეგად ქვეყნისთვის მოვლენილ სხვადასხვა განსაცდელზე; ასევე დასავლეთის თემასთან ერთად აქტიურად შე-

მოდის მტერი „ლიბერალების“ სახით, რომლებიც ქვეყანას თავს ახვევენ ლგბტ ჯგუფთა უფლებების დაცვას, ქორწინების დაკანონებასა და ანტიდისკრიმინაციულ კანონს. სასულიერო პირთა მხრიდან ისმის მოწოდებები არა მხოლოდ კანონის მიღებისა და აქციის ფორმით უფლებების დაცვის აკრძალვისკენ, არამედ ლგბტ პირთა და მათი უფლებების დამცველების წინააღმდეგ ძალადობისკენ.

მაგალითები:

#### პარალელები დანაშაულთან, პროსტიტუციასთან, ლგბტ ჯგუფების შესახებ სტერეოტიპების გავრცელება

- **ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი:** „პარლამენტარები ხომ არ მეტყვიან, სექსუალურ უმცირესობებში ვინ შედის, მხოლოდ ლესბოსელი და მამათმავალი? და პედოფილი? ზოოფილი? ნეკროფილი? გერენტოფილი? მერე ამაში ყველა ეს „ფილი“ რომ შედის და მე პედოფილიას კონსტიტუციით რომ ვებრძვი, რასაც ყველა ქვეყნის კანონმდებლობა სჯის, შენ რატომ უშვებ ასეთს სკოლაში და პატარა ბავშვთან? რამ შეაყვარათ ამათ პიდარასტები, გამარკვიეთ ხალხო? და არ უნდა გამოვიდეს ამის წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში?“ „მე რატომ უნდა ვიყო მადლიერი [ბიძინა ივანიშვილის], სამება რომ ამიშენა? სამაგიეროდ, სულს რატომ მინგრევს? მამათმავალი შეიძლება, შევიდეს ტაძარში? და ვიღას აუშენა ეს სამება?“ (ალია, 29 აპრილი, 2014).

#### ჰომოსექსუალობა არის დაავადება, ნორმიდან გადახრა

- **გიორგი რამმაძე, დეკანოზი:** „...კაცი, რომელიც იძახის, ქალი ვარო, იმის უფლებებს იცავენ, იმის მაგივრად, რომ ისიც სამკურნალოდ გაუშვან“ (ალია, 9-12 მაისი, 2014).
- **თეოდორე გაგნაძე, დეკანოზი:** “ადამიანი შეიძლება არაფერს აშავებდეს, მაგრამ იგი მაინც ცოდვილია, თუ დაზიანებული ბუნება აქვს. ეს დაზიანებული ბუნება ბევრ რამეში ვლინდება და მათ შორის, ჰომოსექსუალიზმში“ (რეპორტიორი, 18 მაისი, 2014).

#### ჰომოსექსუალობა თავს მოხვეულია გარედან, ეწინააღმდეგება ქართულ ღირებულებებს

- **სპირიდონ აბულაძე, მეუფე:** „რა ჰგონია მას, ვინც მოდის დღეს და ქართველი ხალხის მამათმავლობას, სოდომის ცოდვასა და გაპიდარასტებას უკეთებს აგიტაცია-პროპაგანდას, ის იმაზე უფრო უარესი მტერი არ არის ქვეყნისა, ვიდრე რუქნადინი და მთელი ოდა ვირეშმაკებისა?.. მოდიან, აფინანსებენ საქართველოს, ეუბნებიან თუ არ გახდები მამათმავალი, თუ არ გახდები ბილწი და საძაგელი ცოდვით დაცემული, არ მოგცემ გრანტებსო. კიდევ ჩვენ ვართ მოძალადეები?“ (ალია, 9-12 მაისი, 2014).

#### ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე

- **გიორგი რამმაძე, დეკანოზი:** „მაშინ აცხადებდნენ ჩვენი პარლამენტარები, ტყუილად გეშინიათ ქორწინებები არ იქნება და თუ იქნება, ჩვენ პარლამენტს ვტოვებთო. ახლა შევახსენებ ბესელიას, კობახიძეს და სხვებს სადაა პირობის შესრულება? რატომ არიან ისევ პარლამენტში? მოხდა უკვე ეს ფაქტი, კაცი კაცთან დაქორწინდა, ქალი-ქალთან, კაცი – პირუტყვთან. რატომ დუმან?“ (ალია, 2 სექტემბერი, 2014).

ლგბტ პირებს აქვთ არსებობის, მაგრამ არა საჯარო სივრცეში თვითგამოხატვის უფლება, ლგბტ პირთა უფლებების დაცვა უმრავლესობაზე ძალადობაა

- **ილია მეორე, კათალიკოს პატრიარქი:** „თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასობრივად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო... თანამედროვე ფსევდოლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება – ცოდვა... იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგად ადამიანურ ღირებულებებთანაც. ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ“ (ინტერპრესნიუსი, 21 აპრილი, 2014).

დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება, ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაპირისპირება

- **დავით ისაკაძე, დეკანოზი:** „ალბათ უპრიანი იქნება ჩატარდეს პლებისციტი, სადაც ხალხი დააფიქსირებს ერთსქესიანთა ქორწინების და ლგბტ პროპაგანდის მიმართ თავის დამოკიდებულებას, რასაც შემდეგ კანონის ფორმა მიეცემა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება... ჰომოსექსუალიზმის ქადაგება ქვეყნის გენოციდის ტოლფასია და ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დაუშვას“ (ასავალ-დასავალი, 10-16 მარტი, 2014).
- **სასულიერო პირების მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარისადმი:** „გთხოვთ, აიკრძალოს საქართველოში ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების ქადაგება, როგორცაა ლგბტ ალღუმები და საჯარო მსვლელობები... პარლამენტის წევრებს ვთხოვთ კანონით აკრძალონ ლგბტ პროპაგანდა ქუჩებში, საჯარო ადგილებში, უმაღლეს სასწავლებლსა და სკოლებში“ (ინტერნიუსი, 13 აპრილი, 2014).

## 1.5. საზოგადოების სხვა ნაწილად გენდერი

საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ჰომოფობიური გამოხატვის 96 შემთხვევა არის გამოვლენილი. ამ თვალსაზრისით წამყვან სამ ადგილზე პოეტი რეზო ამაშუკელი (10), ბიზნესმენი ლევან ვასაძე (6) და მსახიობი მიშა გომიაშვილი არიან.

ჰომოფობიური გამოხატვის წყაროები საზოგადოებაში საკმაოდ მრავალფეროვანია. კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ ჰომოფობიური გამოხატვით რესპონდენტთა შორის გამოირჩევა ჯგუფი – პოლიტპატიმრები, მათ მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები „თავისუფალ თაობა“, „ევრაზიული კავშირი“, „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ჯამში 18 შემთხვევა).

მედია-საშუალებების მიხედვით საზოგადოების წარმომადგენლების ჰომოფობიური გამოხატვა ძირითადად გაზეთმა ასავალ-დასავალმა გააშუქა (34); შემდეგ ადგილზე ტელეკომპანია „ობიექტივა“ (14); მესამე ადგილს კი Geworld.ge და გაზეთი „კვირის ქრონიკა“ ინაწილებენ.

მედიის რესპონდენტები საზოგადოებიდან ლგბტ პირებზე საუბრისას პრინციპში იმეორებენ იგივე სტერეოტიპებსა და ტენდენციებს, რაც პოლიტიკოსების შემთხვევაში გვხვდება. ამ დროს კიდევ უფრო გამძაფრებულია ლგბტ პირთა უფლებების დაცვის შეზღუდვის წინააღმდეგ ძალადობრივი მოწოდებები, ასევე – ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის წინააღმდეგ გამოსვლები; ექიმებისა და ფსიქოლოგების ჯგუფის წარმომადგენლები აქტიურად ახდენენ იდეის – ჰომოსექსუალობა ფსიქიკური დაავადებაა, ტირაჟირებას; ასევე ლგბტ ადამიანთა უფლებების დაცვა ძირითადად ითვლება ლგბტ პირთა ან უცხოელების მიერ „მოსყიდულთა“ პრეროგატივად.

მაგალითები:

#### ლგბტ პირთა შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრება

- **სვიმონ მასხარაშვილი, ისტორიკოსი:** „და კანის ფესტივალზე „ადელს“ ფილმს მისცემ ორი ლესბოსელის სიყვარულზე მისცემ, თან რა ქვია არასრულწლოვანი ლესბოსელის სიყვარულზე გადაღებულ ფილმს გაამარჯვებინებ – შენ ველარ აღზრდი ვერც ერთ ნაპოლეონს, ვაჟკაც კაცს ველარ აღზრდი... თურმე კაცობრიობის უმთავრესი ტკივილი ორი ლესბოსელი, მეძავის ... დავით აქუბარდია, წამყვანი: მეძავები არ იყვნენ, კაცო... სვიმონ მასხარაშვილი: ლესბოსელი თუა, მეძავი როგორ არ არის?!“ (კავკასია, სპექტრი, 28 აგვისტო, 2014)

#### ერთსქესიანი ქორწინება, როგორც საფრთხე

- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი, ავტორი:** „აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველთვის მამათმავლებს სურთ „იშვილონ“ ბიჭი, ხოლო დედათმავლებს – გოგო. შემდგომში ამ უბედური ბავშვების მნიშვნელოვან ნაწილს აქვს თვითმკვლელობის მცდელობა, თითქმის ყველას კი – ნარკოლოგიური და ალკოჰოლური პრობლემები, რადგან როდესაც ისინი მოზარდულ ასაკში შედიან, ხშირად მათი „ორი მამა“ ან „ორი დედა“ მათზე სექსუალური სურვილების დაკმაყოფილებას ახდენს... ჯერ შეგუებულნი იმ სიმახინჯეს, რომ მათ მამისა და დედის ნაცვლად ჰყავთ „ორი მამა“ ან „ორი დედა“, ისინი აღმოაჩენენ, რომ სინამდვილეში მათ ჰყავთ ორი ცინიკური, გარყვნილი მხეცი“ (კვირის პალიტრა, 20 იანვარი, 2015).

#### ჰომოსექსუალობა არის დაავადებაა, ნორმიდან გადახრა

- **გიორგი შენგელაია, რეჟისორი:** „ადამიანი არის ბიოლოგიური არსება, ზოგი იბადება ასეთი ნაკლით, ზოგი – ავადმყოფი, ზოგი კი ჯანმრთელი“ (რეზონანსი, 1 მაისი, 2014).
- **გივი მერაბიშვილი, ფსიქოლოგი:** „ეს ფსიქიკური აშლილობის პრობლემაა... მე შემიძლია ვთქვა, რომ ავადმყოფობაა.“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 მაისი, 2014)
- **გია კორკოტაშვილი, ქართული მისია:** „გეებს თუ უნდათ, გახსნან გეისკოლა და, ვისაც სურვილი აქვს, მივიდეს და იქ ისწავლოს. ეს ყველაფერი ლუსტრირებული იქნება. აბა, ის სჯობს, რომ ერთმა გათხვრილმა ღორმა ათასი გათხვაროს? რატომ უნდა დაიწყოს ავადმყოფმა, გარყვნილი აზრებით შეპყრობილმა პედაგოგად მუშაობა იმ საზოგადოებაში, რომელშიც გვსურს, რომ ჯანსაღი თაობა გაიზარდოს?.. ხალხნო, იყვნენ ეს ავადმყოფები ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ნორმალურ ადამიანებს ნუ გაუტოლებენ, იყვნენ თავისთვის და იცხოვრონ წყნარად, მაგრამ, როგორც კი დავინახავთ, რომ თავიანთი ცხოვრების პროპაგანდას ეწევიან, იმ წამსვე ჩავერიოთ ხის-

ტად. ასეთი ადამიანების ცხოვრების რეკლამირების გამო სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. ... ჩვენ არ გვინდა ისეთი ცივილიზაცია, რომლის გზაც უკანაღმე გავს!“ (Geworld.ge, 8 მაისი, 2014).

### ჰომოსექსუალობა თავსმოხვეულია დასავლეთისგან

- **ნოდარ მგალობლიშვილი, მსახიობი:** „ეს დაუშვებელია! მე არც ასეთი ევროპა მინდა და არც – ამერიკა! თუ ჩვენ ტრადიციებსა და ფასეულობებს დავკარგავთ, რა აზრი აქვს ასეთ არსებობას?!.. 17 მაისს მთელი თბილისი უნდა გამოვიდეს რუსთაველის გამზირზე და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე მდუმარედ გააპროტესტოს ეს უმსგავსობა!.. დაე, მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ ერიც და ბერიც არ დაუშვებს „ცისფერ ალღუმებს“ საქართველოში! ეს ჩვენი არ არის – მორჩა და გათავდა!.. და თუ ამის გამო დაგვიწუნებენ ევროპაში, მაშინ სულ კარგად ბრძანდებოდნენ“ (ასავალ-დასავალი, 3-9 მარტი, 2014).

### ჰომოსექსუალობის პროპაგანდაა ძალადობა უმრავლესობაზე

- **მაკა ნიკოლაიშვილი, აქციის მონაწილე:** „ამ ჰომონდაუოკებელი ადამიანების აქ შეკრება, ნამდვილად სამარცხვინო ფაქტია, ჩვენ, მონათლული ქრისტიანი ადამიანები საქართველოს მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ჩვენ არ მივცემთ მათ უფლებას, ერთსექსიანთა ქორწინების, და ბოლო სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა ჩვენი შვილებისთვის არ გაწიონ პროპაგანდა“ (კავკასია, 29 მარტი, 2014).
- **სოფო ტორთაშელიძე, მომღერალი:** „ჰომოსექსუალებო, რაღაც ძალიან გამრავლდით! სააშკარაოზე გამოფინეთ ყველაფერი.. არაფერს არ მიშავებენ საერთოდ და არც მაწუხებენ! უბრალოდ მიკვირს, რომ ასე უცებ დაიკიდეს ყველაფერი, აღარ მაღავენ. რაღაცაში ხომ არ არის საქმე თქო, რა ვიცი“ (პირველი, 25 ივნისი, 2014).
- **რეზო ამაშუკელი, პოეტი:** „რომ გაიძახით, ბიძია, ადამიანის უფლებები უნდა დავიცვათ და ჰომოსექსუალები კარგი ტიპები არიანო, თუ ასეა, ჰომოსექსუალები და პედერასტები რომ ხართ, რატომ მაღავთ ბიძია, ამას?.. თუ გრცხვენიათ თქვენი პედერასტობის, მაშინ ნუ გაქვთ პირი დაღებული და დაანებეთ თავი ამ „ლგბტ“-ს ადვოკატობასა და პროპაგანდას!“ (ასავალ-დასავალი, 11-17 აგვისტო, 2014).

### დისკრიმინაციისკენ, აკრძალვების დაწესებისკენ მოწოდება

- **არჩილ ჭყოიძე, ევრაზიული არჩევანი:** „მთავარი მოთხოვნა იქნება საქართველოში მამათმავლობისა და ლესბოსელობის პროპაგანდის სისხლისსამართლის წესით დასჯა, ვინაიდან ეს ხრწნის ჩვენს ახალგაზრდებს... მამათმავლობა და მისი პროპაგანდა ნარკომანიაზე უფრო დიდი დანაშაულია“ (რეპორტიორი, 5 მაისი, 2014).
- **ჰამლეტ ჭიბაშვილი, პოლიტოლოგი:** „აბსოლუტურად ვეთანხმები რუსეთის პრეზიდენტს, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა ქვეყანაში პედერასტიის პროპაგანდა!... იმოქმედეთ, გადედლებულო მამაკაცებო და კაცად ქცეული ქალებო, ოღონდ, რეკლამისა და პროპაგანდის გარეშე!“ (ასავალ-დასავალი, 1-7 დეკემბერი, 2014).
- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „მიღებული კანონით [ანტიდისკრიმინაციული] თქვენ აუკრძალეთ ხალხს გარყვნილებას გარყვნილება უწოდოს, არაკაცობას არაკაცობა, ადამიანის ყველაზე სამარცხვინო ქცევა დაგმოს და დაემუქროს ხალხს ამისათვის ციხეში ჩავდებით და მათი ქონებისა და საქმის ლიკვიდაციით... ამოიღეთ იქიდან გარყვნილების ლეგიტიმაციის ყოველგვარი ხსენება, როგორც არ უნდა გიბრძანებდნენ ამას უცხოეთიდან და აკრძალეთ გარყვნილების პროპაგანდა საქართველოში“ (ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი, 2014).


# გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპები

## ძირითადი მიზნები

გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს მედიაში გვხვდება დარღვევების მრავალსახეობა, რომელიც ჩვენ ორ ძირითად ჯგუფში გავაერთიანეთ: 1) გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, სადაც დავაჯგუფეთ პირდაპირი მოწოდებები გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისკენ; 2) სტერეოტიპების ჯგუფში კი შევიყვანეთ ის სტერეოტიპები, რომლებიც ქალთა მიმართ უთანასწორობის გამყარებას, ქალის და მამაკაცის როლების ტრადიციული აღქმების დამკვიდრებას უწყობს ხელს; სექსისტური გამოხატვა. აქვე უნდა ითქვას, რომ მკვეთრი ზღვარის გავლება ამ ორ მიმართულებას შორის რთულია, რადგან თითქმის ყველა გამონათქვამშია სექსისტური გამოხატვა, თითქმის ყველა მაგალითში არის დისკრიმინაციისკენ მოწოდების ნიშნები და გენდერული სტერეოტიპების გაღრმავების მცდელობა.


მონიტორინგის პერიოდში გენდერული თემატიკის პრობლემური გაშუქების, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და სტერეოტიპების გავრცელების სულ 74 ფაქტი გამოვლინდა.

დიაგრამა 7. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ძირითადი ტენდენციები




გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების ტირაჟირების მთავარი წყარო მედიაში ჟურნალისტები არიან (35). ჟურნალისტების შემდეგ – საზოგადოების წარმომადგენლები (24); მესამე ადგილზე სასულიერო პირები არიან (8). შემდეგ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები (3), პოლიტიკური თანამდებობის პირები, საჯარო მოხელეები (2); ყოფილი თანამდებობის პირები (2);

**დიაგრამა 8. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება წყაროების მიხედვით**



საინტერესოა, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების ტირაჟირების წყაროებში ქალების რაოდენობა 3-ჯერ ნაკლებია მამაკაცების რაოდენობაზე. 46 შემთხვევაში წყარო მამაკაცია, 17 შემთხვევაში – ქალი, 11 შემთხვევაში გენდერი ზუსტად არ არის ცნობილი (დისკრიმინაცია სათაურშია, ინკოგნიტო რესპონდენტის გამო-ნათქვამში და ა.შ.)

**დიაგრამა 9. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია გენდერულ ტრილში**





თემატიკის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედია გამოხატვა დავყავით, რომელთაგანაც თითოეულ მათგანს მოკლედ განვიხილავთ:

### განდერული ნიშნით დისკრიმინაცია

**ოჯახური ძალადობის გამართლება** – მონიტორინგის პერიოდი საქართველო გამორჩეული იყო ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ქალების მკვლელობის მაღალი მაჩვენებლით. სწორედ ამიტომ, ოჯახური ძალადობის თემის განხილვას მედიაში გარკვეული ადგილი დაეთმო. საინტერესოა, რომ მონიტორინგის პერიოდში ძალადობის სხვადასხვა მოტივით გამართლების ან შერბილების მცდელობა დაახლოებით 9-ჯერ გამოიკვეთა. მსგავსი მოსაზრებების ავტორი ორ შემთხვევაში ჟურნალისტია, ორ შემთხვევაში – პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, 5 საზოგადოების წარმომადგენელია.

**ქალთა უფლებების დამცველთა შეურაცხყოფა** – მონიტორინგის პერიოდში მედიაში გვხვდება 5 შემთხვევა, როცა ქალთა უფლებებისთვის, გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლ უფლებადამცველებს რესპონდენტები ან თავად ჟურნალისტები შეურაცხყოფას აყენებენ, უწოდებენ რა მათ „ბოზებს“, „ცირკის ქალებს“, კაცად ქცეულ ქალებს. წყაროებიდან ორი ჟურნალისტია (მათ შორის ერთი ქალი); ორი საზოგადოების წარმომადგენელი; ერთი დიაკონი.

**ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და მართლმადიდებულ ღირებულებებს** – „გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლა ბოროტისგან მოდის“ – ეს ერთ-ერთი მოსაზრებაა იმ მოსაზრებებიდან, რომელიც ქალთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლას ცოდვის, მართლმადიდებლობისა და ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგო ქმედებად აფასებს. ამ ტიპის განცხადებები ძირითადად ასევე ოჯახური ძალადობის კონტექსტში არის გაკეთებული და, შესაბამისად, დისკრიმინაციულად იქნა შეფასებული ჩვენს მიერ.

**დისკრიმინაციისკენ მოწოდება** – მედიაში გვხვდება დისკრიმინაციისკენ პირდაპირი მოწოდების შემთხვევები (გაუთხოვარი ქალების დასაქმების აკრძალვა; ქალისთვის ფართობის აკრძალვა; პარლამენტში ქალების მეტი წარმომადგენლობის წინააღმდეგ გამოსვლა).

### სტერეოტიპები:

**ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი** – მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელია, (ან მამაკაცი ძლიერი სქესის) მედიაში ძირითადად თავად მედიის წარმომადგენლები ავითარებენ, 12 შემთხვევიდან 10-ის ავტორი სწორედ ჟურნალისტები არიან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 5 შემთხვევაში ამ შეფასების წყარო ქალია.

**ქალი საჭიროებს შეღავათს, არათანასწორია** – ქალი არ არის თანასწორი მოსაუბრე, („ქალთან არ მალაპარაკოთ, რა“ ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე); ქალი საჭიროებს შეღავათს „მიუხედავად იმისა რომ ქალი ხართ“... „სიტყვა მომეცით, მანდილოსანი ვარ“; (თამარ ჩიბურდანიძე, დემოკრატიული აღორძინების ფონდი); – მსგავსი გამონათქვამები მონიტორინგის პერიოდში 4 ჯერ გვხვდება. ზემოთ დასახელებული შემთხვევების გარდა ორ შემთხვევაში წყარო ჟურნალისტია.



## ქალის და მამაკაცის როლების ტრადიციული აღქმა

**მამაკაცი ოჯახის თავია** – ოჯახში მამაკაცის თავკაცობის შესახებ მოსაზრების ერთ-ერთი მთავარი წყარო მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები არიან. 8 შემთხვევიდან 4-ის ავტორი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა, ასევე ამ აზრს გამოთქვამს დეკანოზი დავით ისაკაძე; ორ შემთხვევაში ამ მოსაზრების წყარო საზოგადოების წარმომადგენელია, ერთხელ კი – ჟურნალისტი; ეს მოსაზრება ძირითადად ოჯახური ძალადობის კონტექსტში გამოიყენებოდა.

**ქალის ადგილი ოჯახშია** – მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი მაგალითების ნაწილში კულტივირებს აზრი იმის შესახებ, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახში, მისი მთავარი ფუნქცია დედობა, კარგი მეოჯახეობა, კარგი მზარეულობაა და ა.შ. მედიაში ნახავთ ისეთ ფრაზებს, როგორცაა „წადი, საქმით დაკავდი, ბავშვი გააჩინე“; „ბორშის გაკეთება რომ არ იციან, იმით ამაცობენ“; და ა.შ.

**სექსისტური გამოხატვა** – მიუხედავად იმისა, რომ სექსისტური გამოხატვა, პრინციპში, შემთხვევების უმრავლესობაში გვხვდება, ამ ჯგუფი გავაერთიანეთ შემთხვევები, როცა ქალთა მიმართ სტერეოტიპების ტირაჟირება ხდება. მაგალითად ისეთი, როგორცაა: „გოლივით ერთგული ძაღლი“, „ქალი რომ გაბოზდება და ვერაფერი აკავებს, ისე იყვნენ...“; „საკამვილმა ქალივით დაიწყო ჭორაობა“; „ქალების სურვილებს საზღვარი არ აქვს“ და ა.შ. ამ საქციელს ქალიც არ იბავდა; სექსისტური გამოხატვის ნაწილია შემთხვევები, როცა ქალი, განხილულია, როგორც სექსუალური ინტერესის ობიექტი. მაგალითად საუბარია იმაზე, რომ კაცს თავის მოვლა იმდენად არ ევალება, რამდენადაც ქალს, რადგან ქალის ვალია მამაკაცს თავი მოაწონოს“; ქალთა აქტიურობა ახსნილია მათი „სექსუალური დაუკმაყოფილებლობით“ და ა.შ.

**მედია ახდენს ქალის როლის იგნორირებას მნიშვნელოვან პროცესში** – მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა ორი საინტერესო შემთხვევა, როცა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროცესში ქალის როლის დაკნინება და/ან იგნორირება ხდება. მაგალითად საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე დაჯილდოვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „ქალთა საერთაშორისო ჯილდოთი სიმამაცისთვის“. გაზეთმა „რეზონანსმა“ (5 მარტი) ანალოგიურ ჯილდოზე მხოლოდ უკრაინელი მომღერლის, ევრომაიდნის აქტივისტის რუსლანას წარდგენა გააშუქა, რუბრიკაში „გართობა“, რაც რედაქციის მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოხატვაა, რომლის თანახმად, მომღერალი ქალი გართობის ობიექტად განიხილება და არა პოლიტიკურ აქტივისტად, რისთვისაც მას აღნიშნული ჯილდო გადაეცა.

ქალის როლის დაკნინების მცდელობა ჩანს ტელეკომპანია „კავკასიის“ წამყვანის მოსაზრებაზე იმის თაობაზე, „მადამ ბლულაძე, ის არის... მერიდება ახლა რომ ვთქვა, მაგრამ იმად არის იგრუშკა, თუ რა ქვია თოჯინად არის იქა (უკრაინაში), თორემ სხვა ძალები გააკეთებენ ყველაფერს...“

## 2.1. აქლია

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების ტირაჟირება ძირითადად პრესაში აღინიშნა. კერძოდ 24 შემთხვევა გვხვდება გაზეთებში, 7 – ონლაინ მედიაში და 5 ტელევიზიაში.

ცალკეული მედია-საშუალებების მიხედვით ყველაზე მეტი ფაქტი კვირის ქრონიკაში გამოვლინდა (7), მეორე ადგილზეა გაზეთი ასავალ-დასავალი (6).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ რა მიმართულებით იყენებდა თავად მედია გენდერული დისკრიმინაციის შემცველ გამონათქვამებს.

**ცხრილი 3. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება სხვადასხვა ტიპის მედია-საშუალებებში**

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და სტერეოტიპების ტირაჟირება მედიის წარმომადგენელთა მიერ	სულ	ბეჭდვითი მედია						სატელევიზიო მედია				ონლაინ მედია			
		ასავალ-დასავალი	კვირის ქრონიკა	კვირის პალიტრა	რეზონანსი	კრიტიკა-თავისუფალი	ალის	რუსთავი 2	კავკასია	თავისუფალი	თელავი-პანია GDC	GEWORLD.GE	საქინფორმი	პირველი	
<b>დისკრიმინაცია</b>															
ოჯახური ძალადობის გამართლების მცდელობა	3			2	1										
ქალთა უფლებების დამცველთა შეურაცხყოფა	2		2												
ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და მართლმადიდებლურ ღირებულებებს	1												1		
დისკრიმინაციის-კენ მოწოდება	2	1	1												
სიძულვილის ენა	1	1													
	<b>9</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>2</b>									<b>1</b>		
<b>სტერეოტიპები</b>															
ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი	10	1	1		2	1	1								4
მამაკაცი ოჯახის თავია	1			1											
ქალის ადგილი ოჯახშია	2			1			1								

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და სტერეოტიპების ტირაჟება მედიის წარმომადგენელთა მიერ	სულ	ბეჭდვითი მედია						საბელაქვიზიო მედია				ონლაინ მედია			
		ასავალ-დასავალი	კვირის ქრონიკა	კვირის პალიტრა	რამონანსი	პრაიმ-თაიმი	ალბა	რუსთავი 2	კავკასია	ოპიქ-თივი	თელამოპ-პანია GDC	GEWORLD.GE	საინფორმ-ფორმი	პირველი	
სექსისტური გამოხატვა	9	3	2				1	1				1	1		
ქალი საჭიროებს შეღავათს, არათანასწორია	2								1			1			
მეღია ახდენს ქალის როლის იგნორირებას მნიშვნელოვან პროცესში	2					1					1				
	26	4	4	1	3	2	2	2	1	1	1	1	2		4
	35	6	7	3	4	2	2	2	1	1	1	1	2	1	4

## გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული გამოხატვისა და სტერეოტიპების ტირაჟების მაგალითები მედიაში

მონიტორინგის პერიოდში თავად ჟურნალისტების მიერ დისკრიმინაციული გამოხატვის მაგალითებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

### კვირის პალიტრა

#### ასავალ დასავალი

#### ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი

- **ნინო გოძიაშვილი:** „როგორია წარმატებული ქალი? უბრალოდ, გაუმართლა და კარგი ქმარი შეხვდა თუ ნამდვილი ჯადოქარია? რა ქნას სუსტი სქესის წარმომადგენელმა, როცა გვერდით მამაკაცი არ ჰყავს?“ (24-30 ნოემბერი).

#### სექსისტური გამოხატვა

- **ქეთევან ხამიგაშვილი:** „კრიმინალური თემების გარდა მკაცრ ჩაჩუას სახელთან ხშირად ახსენებენ იმ კადრებსაც, სადაც მან გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო მართონის წინა წელს, პირველი ლედის მანტიის მორგებამდე, საკმაოდ უხერხულ სცენაში თორნიკე ბზიავასთან ერთად ითამაშა რუსუდან ჭყონიას ფილმში „გაილიმეთ“, ამასთანავე, საზოგადოებამ უარყოფითად შეაფასა იმავე ფილმში კადრებიდან მომღიმარი, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი და შესაფასებლად ჟიურის წინ ნახევრად შიშვლად მოსიარულე საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი ქალბატონი“ (24-30 მარტი, 2014).

## კვირის ქრონიკა

### სექსისტური გამოხატვა

- **თამარ ოქრუაშვილი:** „...ჰყავს მოხუცი დედა, ორი ვაჟი, „ძალღვივით ერთგული“ ცოლი და „ცოლივით ერთგული“ ძაღლი“ (17-23 მარტი, 2014).
- **გელა ზედელაშვილი:** „ეეჰ, ჩემო შოთა, ეგრე თუ გავყევით, არიან ქალები – დუდუკები, არიან ქალები – „დვი-ჟოკები“, არიან ქალები – დანა-ჩანგლები, არიან ქალები – დოლები... აჰა, აგაწყდათ ღილები, კაცებო? რომ არა ქალი, ვინ დაგიკერებთ შარვლებზე აწყვეტილ ღილებს? ვინ არის ახლა სუსტი? კარგი, შეიძლება ღილების დაკერება მოახერხოთ, ვინ დაგიუთოებთ ტანისამოსს და ვინ გაგირეცხავთ ჭუჭყიან „ნასკებს“? კი, ბატონო, მოკალი ქალი, მოკალი ცოლი, მერე სად მიდიხარ?“ (27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, 2014).
- **გელა ზედელაშვილი:** „ლამის ყველა ქალი იახის, სტერეოტიპები უნდა დავამსხვრიო, მეამაყება, ბოზი ვარო!“... (10 მარტი, 2014).

### ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და მართლმადიდებულ ღირებულებებს

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ კარგა ხნის წინ დაამტკიცეს, ახლა ცნობიერებაში ოჯახური ძალადობის ცნება შემოაქვთ და მოქალაქეებს პირდაპირ ტვინს ურევენ... ქართველი ქალი კი, რომელიც ტრადიციულად სიწმინდისა და ოჯახის ღირსების სიმბოლოა, ზნეობრივი, მორალური მარწუხებისგან უნდა გათავისუფლდეს“ (27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, 2014).

### დისკრიმინაციისკენ მოწოდება

- **Gazeta.ua:** ავტორი წიგნისა „ქალი ისლამში“ მუჰამედ ქამალ მუსტაფა მიჩინევს, რომ ქალის ცემა უნდა მოხდეს ისე, რომ პირველ რიგში მან სულიერი ტანჯვა განიცადოს და არა ფიზიკური. წიგნში მოყვანილია პრაქტიკული რეკომენდაციებიც. კერძოდ, „დარტყმის მიყენება უნდა მოხდეს სხეულის მგრძნობიარე ნაწილებში – მუცელში, მკერდში, სახეში და ასე შემდეგ“...კიდევ ერთი ავტორი „თანასქელებს“ არიგებს, რომ ცოლის გალახვაში მთავარია, თავად მამაკაცმა არ მიიღოს ზიანი“ (12-18 იანვარი, 2015).

## კვირის პალიტრა

### ოჯახური ძალადობის გამართლების მცდელობა

- **მერაბ მეტრეველი:** „ასეთი ფაქტების [ოჯახური ძალადობის] მთლიანად გამორიცხვა ალბათ შეუძლებელი იქნება, მაგრამ ნამდვილად შემცირდება, თუ ქალები თავიანთ არჩევანზე უფრო მეტს იფიქრებენ. ცოლის მკვლელობის კაცები ხომ ამაზრზენები არიან, მაგრამ, ქალებო, სანამ ვინმეს ცოლად გაჰყვებით, კარგად გაიცანით, ყველა გოჟს კი არ უნდა გაეკიდოთ!“ (20-26 ოქტომბერი, 2014).

### მამაკაცი ოჯახის თავია

- **ეთერ ერაძე:** „შინ მხოლოდ ოჯახის უფროსი, 38 წლის არაზავ მედოვი იყო და ტელევიზორს უყურებდა“ (24 იანვარი, 2015)

## პრაიმ-თაიმი

### ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი

- **თამარ ღონღაძე:** „მარაო“ ქალბატონებზე გათვლილი არხია, თუმცა არხის ხელმძღვანელი არ გამოირცხავს, რომ სუსტი სქესის მაცურებელთა სიას მამაკაცებიც შეუერთდებიან (15 სექტემბერი, 2014).

## რემონანსი

### ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი

- **მარიამ აფციაური:** „...მის [მოტოციკლის მართვა] მიმართ ინტერესმა სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც იმპლავრა“ (31 მაისი, 2014)

## მედია ახდენს ქალის როლის იზნორირებას მნიშვნელოვან პოცესში

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „ქალთა საერთაშორისო ჯილდოთი სიმამაცისთვის“. გაზეთ-მა „რემონანსმა“ (5 მარტი) ანალოგიურ ჯილდოზე მხოლოდ უკრაინელი მომღერლის, ევრომაიდნის აქტივისტის რუსლანას წარდგენა გააშუქა, რუბრიკაში „გართობა“, რაც რედაქციის მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოხატვაა, რომლის თანახმად, მომღერალი ქალი გართობის ობიექტად განიხილება და არა პოლიტიკურ აქტივისტად, რისთვისაც მას აღნიშნული ჯილდო გადაეცა.

## ალია

### ქალის ადგილი ოჯახშია

- **სათაური:** „ცოლს იატაკი არ მოაწმენდინოთ, თორემ დაგიჭერენ!“ (25 დეკემბერი, 2014).

## ონლაინ-პედი

## პირველი

### ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი – ძლიერი

- „როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, სუსტი სქესის წარმომადგენლებს მართლაც ცოტა რამ ჰყოფნით ბედნიერებისთვის“ (14 სექტემბერი, 2014).

## საქინფორმი

### ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და მართლმადიდებულ ღირებულებებს

- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის თუ მთავრობის, ოჯახის ინსტიტუტისა და

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ? სააკაშვილმა და მარგველაშვილმა ღარიბაშვილისა და ივანიშვილის წინააღმდეგ პიარ-კამპანია შეუკვეთეს!“ (31 ოქტომბერი, 2014).

## საპაუჩვიკო პილია

### ობიექტივი

#### ქალი საჭიროებს შეღავათს, არათანასწორია

- **ილია ჩაჩიბაია:** „და პირველი კითხვის უფლება დავუთმოთ ნინოს [რატიშვილი, თანაწამყვანი], როგორც მანდილოსანს“... (28 თებერვალი, 2014).

### რუსთავი 2

#### ქალი საჭიროებს შეღავათს, არათანასწორია

- **ნინო შუბლაძე:** „მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ბრძანდებით [ეკა ბესელია]... ბატონი ნუგზარისგან დავიწყებ, იმიტომ რომ თქვენი ლიდერი საუბრობდა“ (პოზიცია, 25 აპრილი, 2014).

### კავკასია

#### მედია ახდენს ქალის როლის იგნორირებას მნიშვნელოვან პროცესში

- **დავით აქუბარდია:** მადამ ზღულაძე, ის არის...მერიდება ახლა რომ ვთქვა, მაგრამ იმად არის იგრუმკა, თუ რა ქვია თოჯინად არის იქა (უკრაინაში), თორემ სხვა ძალები გააკეთებენ ყველაფერს... (სპექტრი, 17 თებერვალი).

### თელეკომპანია GDC

მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია GDC არ შედიოდა მონიტორინგის სამიზნე მედია-საშუალებებში, მედიის განვითარების ფონდისა და 28 არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესის სფეროში მოხვდა ტელეკომპანიის ეთერში 2014 წლის 9 ივლისს გასული გადაცემა „ბინა 18“, რომელშიც ქალის სხეული გამოყენებული იყო დასარტყამ ინსტრუმენტად.

გადაცემა „ქალის სხეულის დამამცირებელ ვიზუალიზაციას შეიცავდა“. გადაცემის ეს მონაკვეთი ქალთა და მამაკაცთა როლის ღიად სექსისტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენდა და საზოგადოებაში არსებული მანკიერი სტერეოტიპების კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობდა ხელს.

## 2.2. პოლიტიკური პარტიები

მონიტორინგის პერიოდში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული გამოხატვა და სტერეოტიპების ტირაჟირება პოლიტიკური პარტიების მხრიდან და მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან 3-ჯერ გვხვდება.

### ქართული ოცნება

პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მანანა კობახიძე, რომელმაც თავის გამოსვლით ხელი შეუწყო სტერეოტიპის გამყარებას იმის თაობაზე, რომ **ქალი სუსტია, ქალი საჭიროებს დაცვას**<sup>8</sup>. კერძოდ 12 სექტემბერს პარლამენტის ვიცე სპიკერმა მანანა კობახიძემ, რომელიც ამავე დროს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა, ფეისბუქის საკუთარი გვერდის საშუალებით გაავრცელა განცხადება, რომელიც ეხმიანება სოციალურ ქსელებში პოლიტიკოსების მიმართ გაკეთებულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. კერძოდ: „[...]როცა სრულიად უცნობი ადამიანები უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან, ყოვლად უზნეო და ამორალურ პოსტებს დაგიდებენ ეს ვითომ კაცები, სინამდვილეში არაკაცები, ბილწსიტყვაობენ და თანაც ქალის მიმართ, აი მერე მეუღლემ ან ძმამ ან შვილმა მართლა შუბლი რომ გაუხვრიტოს, მერე არ გვითხრას ვინმემ კრიმინოგენული ვითარება დამძიმდაო, შეურაცხყოფის და ლანძღვის თემნის ვალდებულება ნამდვილად არ აქვთ ადამიანებს ისე, პოლიტიკოსიც ადამიანია!“

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ დანარჩენ ორ შემთხვევაში („იმედი“ და „ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები“) სახეზეა ძალადობის გამართლების მცდელობა:

### ძალადობის გამართლების მცდელობა

- **ირინა სარიშვილი, პარტია იმედი:** „როდესაც გამოდის ახალგაზრდა ქალი (ნინია კაკაბაძე) და მილიონიან აუდიტორიას ეუბნება, რომ თურმე ქმრები კლავენ, ხოცავენ საქართველოში ცოლებს და ამიტომ უნდა ჩვენ რაღაცა საზოგადოება შევქმნათ და დავიცვათ საწყალი ცოლები, და ამას ასმენინებენ 12-13-14 წლის ბავშვებს, ეს არის გარყვნილება“ (ობიექტივი, ლამის სტუდია, 6 ივნისი, 2014).
- **ჯონდი ბალათურია, ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები:** „ქმარი რომ ცოლს დაუპირისპირდება, ეს ნამდვილად არ არის ხელისუფლების ბრალი. ოჯახში ძალადობა სირცხვილია, მაგრამ ეს არამართო საქართველოში ხდება... მივმართავ ელექტრონული მედიის ზოგიერთ ნაწილს – ნუ ცდილობთ, რომ ქართველი ერი წარმოაჩინოთ დაბალი დონის ერად, ქვეყანად, სადაც ქმრები ცოლებს ხოცავენ“ (რეპორტიორი, 20 ოქტომბერი; 2014).

<sup>8</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება მანანა კობახიძის ძალადობრივ და გენდერული სტერეოტიპების შემცველ პოზიციებთან დაკავშირებით; [http://www.mdforgeorgia.ge/geo/view\\_statements/75](http://www.mdforgeorgia.ge/geo/view_statements/75)

## 2.3 ხადისუფლავის მოქალაქე და ყოფილი ნარკომადგენელი

### საჯარო მოხელე

საჯარო მოხელეები ახმოვანებენ გენდერულ სტერეოტიპებს, თუმცა თავად არ არიან წყარო ამ გამოხატვის – არამედ გადმოსცემენ, ან ამხელენ სხვის პოზიციას.

### ქალის ადგილი ოჯახში

- **ლია მაძღარაშვილი, ტიბაანის გამგებელი:** „პირადად მოვიდა [ოთარ ალადაშვილი, გამგებლობისთვის ჩატარებული კონკურსის მონაწილე] ჩემთან და მითხრა, ხო ხედავ რომ ქალი ხარო, ეს შენი შესაფერისი არ არის ეს სამსახური და ამიტომ ქალმა არ უნდა იმუშაოს აქ და წადი აქედანო“ (რუსთავი 2, კურიერი, 14 იანვარი, 2015).

### დისკრიმინაციისკენ მოწოდება

- ბრეძას, ატოცის და ჭვრინისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, მარიამ გულისაშვილის თქმით, მინისტრმა [ჯანმრთელობის დაცვის] სოფლის ამბულატორიებში გასათხოვარი თანამშრომლების დასაქმებისგან, თავის შეკავება ურჩია (პირველი, 1 აპრილი, 2014).

### ყოფილი თანამდებობის პირები

ყოფილი თანამდებობის პირები ძრითადად სტერეოტიპების ტირაჟირებას ახდენენ:

### ქალი არათანასწორია ქალი საჭიროებს შეღავათს

- **დავით თევზაძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „თქვენი ჭირიმე ქალებთან არ მაკამათო ოღონდაც რა“ (იმედი, რეაქცია, 21 ნოემბერი, 2014).

### სექსისტური გამოხატვა

- **თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:** „როგორც ქალი გაბობდება და მერე იმას ვერაფერი აკავებს, ზუსტად ეგრე იყო ჯაბაძე!“ (ასავალ-დასავალი, 24-30 მარტი, 2014).

## 2.4 სასულიერო პირები

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სტერეოტიპული გამოხატვის მ შემთხვევაში წყარო სასულიერო პირია; სასულიერო პირთა გამონათქვამებში ძირითადი ხაზი დაკავშირებულია ოჯახური ძალადობის თემის განხილვასთან და ამ დროს იმის ხაზგასმასთან, რომ მამაკაცი ოჯახის თავია, ქალს განსაზღვრული აქვს თავისი ადგილი ოჯახში. ასევე გვხვდება მოსაზრება იმის შესახებ რომ გენდერი ბოროტისგან მოდის და თავს მოხვეულია გარედან (ეწინააღმდეგება ღირებულებებს);



მაგალითები:

#### მამაკაცი ოჯახის თავი

- **ილია II, კათალიკოს პატრიარქი:** „ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი; ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი ფუნქციაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამოორიცხავს“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 7 იანვარი).

#### ქალის ადგილი ოჯახშია

- **ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი:** „ქალს უფალმა საუკეთესო ადგილი განუსაზღვრა. ჩვენთანაც მისდევნენ ქალები სასულიერო გზას, მაგრამ ისინი მონაზვნებად რჩებიან, მათ სხვისი სულების გადარჩენა არ ევალებათ. როცა ქალი დედა უნდა გახდეს, ეს ყველაზე დიდი მადლია. თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა ვაშლი ჩაკბინა ევამ? იქნებ ეს ის შხამი იყო, რომელიც მიშელ ობამას ჯილდოთი განმტკიცდა? ამაზე დავფიქრდეთ. ვაშლი პირდაპირი გაგებით რომ ყოფილიყო ნახსენები, მაშინ ის სამარხო პროდუქტი არ იქნებოდა“ (Geworld.ge, 2 აპრილი, 2014).

#### ქალის უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებს

- **ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი:** „ღიას, ორივე მათგანის ლალატი სასიკვდილო ცოდვაა, მაგრამ ერთი მცირე ნიუანსია – მამაკაცის მხრიდან ლალატი არ შეიძლება ოჯახის დანგრევის მიზეზად იქცეს... თუ მამაკაცი გაუშვებს ცოლს და ის იმრუშებს, მის ცოდვაზე პასუხი უკვე მამაკაცსაც მოეთხოვება... ამ მიზნით შეიქმნა ხვადასხვა გენდერული მოძრაობა, ეს მოდის ბოროტისგან, რათა დაირღვეს ბალანსი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. ქალი გაუთანასწორდა მამაკაცს არა ღვთის წინაშე, არამედ ფუნქციურად, რაც არღვევს ჰარმონიას ადამიანებში“ (Geworld.ge, 29 ოქტომბერი, 2014).

#### სექსისტური გამოხატვა

- **ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი:** „ამ ტელეეთერებში ერთადერთი რაც ხდება, ისაა, რომ დაბალკვალიფიციური ბოზები ცდილობენ, თავი წარმოაჩინონ მაღალკვალიფიციურ ბოზებად“ (კვირის ქრონიკა, 16-22 თებერვალი, 2015).

## 2.5. საზოგადოების სხვა ნაწილად გინდა

მონიტორინგის პერიოდში საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან გენდერული დისკრიმინაციისა და სტერეოტიპული გამონათქვამების ტირაჟირების 24 შემთხვევა გამოვლინდა. მათგან ძირითადი ტენდენციები შემდეგნაირად განაწილდა: ქალი არათანასწორია, ქალი საჭიროებს შეღავათს (2); ძალადობის გამართლების მცდელო-

ბა(1), ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი ძლიერი (1); ქალი, როგორც სექსუალური ინტერესის ობიექტი (1); ქალის ადგილი ოჯახშია (2); მამაკაცი ოჯახის თავია (1); სექსისტური გამოხატვა (9); ქალების და ქალთა უფლებების დამცველების შეურაცხყოფა (5); ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებს (2).

მაგალითები:

#### ძალადობის გამართლება

- **ანრი ჯოხაძე, მომღერალი:** „ქალებო! სწორად აირჩიეთ ცხოვრების თანამგზავრი, ნუ ისე მაინც, რომ საკუთარი შეცდომა თქვენივე სანანებელი გახდეს... ქალების მენტალური პრობლემა უფროა, რომ ბოლოს საკუთარ მკვლელებზე აკეთებენ არჩევანს“ (პირველი, 21 ოქტომბერი, 2014).

#### ქალი სუსტი სქესია, მამაკაცი ძლიერი

- **სოფო ფარცხალაძე, ფარმაცევტი [პარლამენტის წევრის, დავით საგანელიძის მეუღლე]:** „ყოველთვის ვთვლიდი, რომ მამაკაცი ქალზე უფროსი უნდა იყოს, რომ თავი ძლიერად იგრძნო, მიენდო. კაცი ძლიერი უნდა იყოს“ (პრაიმტაიმი, 17 ნოემბერი, 2014).

#### სექსიზმი

- **გიორგი ლაბაშვილი, რესპონდენტი:** „გოგონა თავს უფრო უნდა უვლიდეს, ბიჭისთვის კი ეს აუცილებელი არ არის... მინდა ლამაზი აღნაგობის გოგონა მყავდეს გვერდით. ქალს ზედმეტი წონა არ უხდება, მანდილოსანის იმისთვის არსებობს, რომ ქვეყანას ალამაზებდეს, კაცს ამდენი არ მოეთხოვება“ (რეზონანსი, 9 მაისი, 2014).

#### ქალის ადგილი ოჯახშია

- **მელორ ვაჩნაძე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი:** „ავირჩიოთ გოგოები... ოქრო ხარ, ოქრო. წადი, კარგი საქმით დაკავდი, ბავშვები გააჩინე, რა მიშა აგიტყდა, ამხელა გოგო ხარ, არ გრცხვენია?! იმას რა პრიზოსკა აქ... ოქრო, სახლში პატრონი არ გყავს? ვინ გამოგიშვა სახლიდან?“ (ნეტგაზეთი; 27 მარტი 2014).

#### მამაკაცი ოჯახის თავია

- **რესპონდენტი:** „ქალი ეხლა არასოდეს არ უნდა იჯდეს თავზე მამაკაცის, იმიტომ ღირსია, რასაც უკეთებენ, მთავარია იცოდეს თავისი ადგილი...“ (რუსთავი 2, პოსტკრიპტუმი, 19 ოქტომბერი, 2014).

#### სექსისტური გამოხატვა – სტერეოტიპების ტირაჟირება

- **ტელეკომპანია „ტაბულა“ გადაცემა თეორემა, რესპონდენტი:** გადაცემაში გავიდა ჩანაწერი, სადაც რესპონდენტი გიორგი გენდერულ სტერეოტიპებს მიმართავს ტაბულას თანამშრომლის მიმართ, რომელმაც სამართალ დამცავებს კანონდარღვევის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. აღნიშნული ჩანაწერი რუსთავი 2-სა და ტაბულას ეთერში პრობლემის საილუსტრაციოდ იყო მოყვანილი.

**გიორგი [მოქალაქე]:** მამა გყავს ისე კაცის ხელში იზრდები?

**თორნიკე უსტარაშვილი, ტაბულას იურისტი:** მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

**გიორგი:** აქვს მნიშვნელობა ეხლა შენს საქციელს, რაღაც ცოტა არ იყოს რავი ქალიც არ იზამდა... მე მგონი პატრულში კაცი არ უნდა რეკავდეს. (ტაბულა, თეორემა და რუსთავი 2, არჩევანი, 27 იანვარი, 2015)

- **გია ხუბაშვილი ექსპერტი:** „ბადრის ცოლი და სხვა ცოლი ჰყავდა რუსეთში. მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე სააკაშვილმაც კი ქალივით დაიწყო ამ თემაზე ჭორაობა“ (ასავალ-დასავალი, 31 მარტი – 6 აპრილი, 2014).

### ქალთა უფლებების დამცველების შეურაცხყოფა

- **რემო ამაშუკელი, პოეტი:** „... პატრიარქს რას უბედავენ ეს ფემინისტკები, ეს ბოზები და ამ სიტყვას გადატანითი მნიშვნელობით არ ვამბობ...“ (ალია, 23 ოქტომბერი, 2014)

### ქალთა უფლებების დაცვა ეწინააღმდეგება ეროვნულ და რელიგიურ ღირებულებებს

- **ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:** „როდესაც კაცი უნდა ჰგავდეს კაცს, ქალი უნდა ჰგავდეს ქალს“... „მოსმენის ღილაკები, ოჯახური ძალადობა ეს სულ შემოგდებული თემებია... ოჯახური ძალადობის თემების პედალირება არასამთავრობოებისა და მედიის მიერ არის წინაპირობა იმისთვის, რომ გააძლიერონ ფაშისტური „იუვენალური“ იუსტიცია და სოც. სამსახურების როლი და დაასუსტონ ოჯახები“ (იმედი, რეაქცია, 13 თებერვალი, 2014; ინტერპრესნიუსი, 14 თებერვალი, 2014).

## დასკვნა და რეკომენდაციები

**მედია.** კვლევამ აჩვენა, რომ ჰომოფობიური გამოხატვის, გენდერული დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების თვალსაზრისით მედიაში გამოვლენილი დარღვევების თითქმის მესამედის (35%) წყარო თავად მედიის წარმომადგენლები არიან. ამასთან, გამოკვეთილია მედია-საშუალებების კონკრეტული ჯგუფი (გაზეთები „ასავალ-დასავალი“, „კვირის ქრონიკა“, საქინფორმი; Geworld.ge; მედია-კავშირი „ობიექტივი“), რომელთა ჟურნალისტებიც ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურობენ (118 განხილული შემთხვევიდან 90 სწორედ ამ მედია-საშუალებებში გამოვლინდა). ანალოგიური ტენდენციაა რესპონდენტების ჰომოფობიური და დისკრიმინაციული გამონათქვამების ტირაჟრების თვალსაზრისითაც, რაც ადასტურებს, რომ მსგავსი გამოხატვა ამ მედია-საშუალებების სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა მონიტორინგის სამიზნე მედია-საშუალებები, რომელთაც საერთოდ არ დაურღვევიათ სტანდარტი ლგბტ და გენდერული თემატიკის გაშუქების დროს (მაგალითად ნეტგაზეთი, ტვ მაესტრო, ტაბულა ტვ); კიდევ ერთი ჯგუფია მედიის ის ნაწილი, სადაც ჰომოფობიურ გამოხატვასა და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟრებას არასისტემური ხასიათი აქვს, თუმცა ცალკეული შემთხვევების სახით გვხვდება.

### რეკომენდაციები:

- ანგარიშში განხილულ თემატიკაზე აუცილებელია ერთი მხრივ, მედია მონიტორინგის გაგრძელება და გამოვ-

ლენილ დარღვევებზე საჯარო დისკუსიების ინიცირება, ასევე საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება როგორც მედიისთვის, ისე – საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია საზოგადოების მგრძობელობის გაზრდა ლგბტ თემების, გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხებისადმი; მეორეს მხრივ, ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ამაღლებას.

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არსებული თვითრეგულირების მექანიზმების გამოყენება, რაც დარღვევების პროფესიონალური განხილვის ინიცირებას შეუწყობს ხელს; ასევე ამ დისკუსიის საზოგადოებაში აქტუალიზებას მოახდენს.
- პასუხისმგებლობიანი მედია არ უნდა ეძებდეს ჰომოფობ რესპონდენტებს და არ ავრცელებდეს სტერეოტიპებს მიზანმიმართულად; თავი შეიკავოს დისკრიმინაციული გამონათქვამების ტირაჟირებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მსგავსი გამოხატვის წყარო საჯარო პირები არიან და მათ გამოხატვას გავლენა აქვს საზოგადოების ფართო ფენებზე. ასეთი შემთხვევების გაშუქება პრობლემაზე მსჯელობის ინიცირებას მოითხოვს და არა სიძულვილის ენის უაპელაციო ტირაჟირებას.
- კვლევამ აჩვენა, რომ მედია, მათ შორის ისიც, ვინც არ არღვევს სტანდარტს, ნაკლებად ცდილობს ამ თემატიკაზე საგნობრივი და ფაქტებზე დამყარებული დისკუსიის ორგანიზებას; მაგალითად სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე მსჯელობა ხშირად ხდება გასართობი და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების ფორმატით; მნიშვნელოვანია მედია ყურადღებით მოეკიდოს საკუთარ როლს საზოგადოებრივი სტერეოტიპების დაძლევის პროცესში და შეეცადოს არ გაამყაროს ისინი.

**პოლიტიკური პარტიები და ხელისუფლება.** კვლევამ აჩვენა, რომ ჰომოფობიური გამოხატვისა და გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირების წყაროს 20 პროცენტს პოლიტიკური კლასი წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ მათ შორის პარლამენტის წევრები, მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც არიან, რაც განსაკუთრებულ შემოფოტებას იწვევს.

პოლიტიკურმა პარტიებმა, განსაკუთრებით მმართველმა გუნდმა და ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა უნდა გააცნობიერონ ის ზიანი, რომელიც ჰომოფობიურ გამოხატვასა და გენდერული დისკრიმინაციისკენ მოწოდებას, სტერეოტიპების ტირაჟირებას საზოგადოებისთვის მოაქვს. ამასთან, მნიშვნელოვანია გაიაზრონ, რომ მათი პასუხისმგებლობა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია.

#### **რეკომენდაციები:**

- საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ დისკრიმინაციული, სტერეოტიპების შემცველი და ჰომოფობიური განცხადებების გაკეთებისგან, რაც გააღვივებს შეუწყნარებლობას, წაახალისებს დისკრიმინაციასა და ძალადობას სხვადასხვა ჯგუფების მიმართ.
- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც ჰომოფობიური გამოხატვის, დისკრიმინაციული გამონათქვამების გამოყენების შემთხვევაში, საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.



# HOMOPHOBIA AND GENDER IDENTITY









# HOMOPHOBIA AND GENDER IDENTITY

MEDIA MONITORING REPORT

2014-2015

MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Author:

TAMAR KHORBALADZE

Editor:

TAMAR KINTSURASHVILI

Researchers:

SOPHO GOGADZE, TATA KAPIANIDZE, TAMUNA KANDELAKI

Design:

BESO DANELIA, *IBDESIGN*



The report is prepared by Media Development Foundation within the framework of the project “Advancing National Integration in Georgia” implemented by United Nations Association of Georgia with the support of the United States Agency for International Development. The content of the report is responsibility of Media Development Foundation and do not necessarily reflect the views of the USAID and UNAG.

© 2015, MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

[WWW.MDFGEORGIA.GE](http://WWW.MDFGEORGIA.GE)

ISBN 978-9941-0-7731-9

# INTRODUCTION

This publication is the second of the series of reports on monitoring which was conducted by the Media Development Foundation (MDF). It is dedicated to homophobic expression as well gender discrimination and stereotyping.

The monitoring covers the period of one year, from 17 February 2014 to 18 February 2015 and involves the following media outlets: newspapers Asavali-Dasavali, Rezonansi, Prime Time, KvirisQronika, Alia, and KvirisPalitra<sup>1</sup>; main news programs and talk shows of five TV channels – Georgian Public Broadcaster, Imedi, Rustavi 2, Kavkasia and Maestro; also primetime talk shows of the media union Obiektivi and the Tabula TV company, and online editions – Sakinformi, InterpressNews, Netgazeti, PirWeli, Reportiori, Georgia and World (Geworld.ge).

Apart from monitored media outlets, this study includes examples of other randomly selected media outlets, which were considered important because of public reaction to them and the influence they had on public.

